

საქართველო



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 15

აპრილი, 7 1896 წ.

სხვობა

№ 15

შინაარსი: თავადი სამეგრელოსა, ნიკოლოზ დავითის ძე. — სნეა-და-სნეა ამბავი. — საყურადღებო ამბები. — კარაბადინში დაცული უელოცვანი ა. ხახანაშვილისა. — ბოშის სიმღერა. — მოთამაშე ბოშა-ქალი. — დმურითა ბინდი — (ჭერენდან, გერმანულით) ი. ნაკაშიძისა. — მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (გაგრძელება) ნ. ყორდანიასი. — ბაში აჩუკი (შემდეგი) აკაკისა. — მეცნიერება გაკოვრდა, თუ მეტაფიზიკა (დასასრული) ფ. მანარაძისა. — სახუმარო გასართობი და კერძო განცხადებანი.



თავადი სამეგრელოსა, ნიკოლოზ დავითისძე.

ნიკოლოზ დავითის ძე, თავადი სამეგრელოსა, დაიბადა 4 იანვარს 1847 წ. და მოინათლა ხელმწიფის სახელით თბილისში და ხელმწიფისაგან ერწმუნა ეს მაშინდელ მთავარ-მართებელს გრაფ ვარანცოვს. დაბადებისთანავე მიიღო პარუჩიკობა ლეიბ-ყაზახის პოლკში.

1853 წ. სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის გადაცვალების შემდეგ, როგორც მემკვიდრე, თავადი ნიკოლოზი დამტკიცდა მთავრათ და მიიღო მთავრობის ღრამატა ხელმწიფე იმპერატორ ნიკოლოზ პირველიდან. 1856 წ. დაინიშნა ვარანცოვის დროს ფლიგელ-ადიუტანტათ.

1867 წ. დასთმო მთავრობა.

1877 წ. ომიანობის დროს ხელმწიფე იმპერატორს ახლდა ღუნიანზე გასვლის დროს. შემდეგ დაინიშნა ჯარში, რომელიც ბალკანის მთებზე გადავიდა. ვაჟკაცობისა და სიმხნისათვის მიიღო ჯილდოთ ოქროს ხმალი და ელადიმირი მახვილით. პრინც ბატენბერგის გადაყენების შემდეგ თავადი სამეგრელოსა ხელმწიფე იმპერატორისაგან გამოცხა-

თავადი სამეგრელოსა ნიკოლოზ დავითის ძე.

239
 დებული იქმნა კანდიდატთა ბოლგარიის ტახტისა. ამ ქამათ სამშობლოში დაბრუნებული, ცხოვრებს თავის მამულში და, ვითარცა ცინცინატი, მეურნეობს. განათლება საფრანგეთში აქვს მიღებული. ცხოვრებისათვის საკმარისათ მომზადებული და ბუნებისაგან უხვათ დაჯილოდოვებული იმ რჩეულთაგანს ეკუთვნის, რომელსაც შეუძლია თვალსაჩინო კვალი დასტოვოს ცხოვრებაში, თუ მონდომებს. ერთი უკეთესი ქველის-მომქმედთაგანია ჩვენში, მაგრამ გამომჟღავნება კი არ უყვარს. სამწუხაროთ, მისი გულ-უხვაობა და გულ-კეთილობა უფრო კერძობითა, თუმცა საზოგადოთაც მზათ არის ყოველთვის შემწვობა აღმოაჩინოს: ქართველთა შორის წერა-კითხვის კამაერცვლებელ საზოგადოებას შესწირა მისი საოჯახო ქართული ბიბლიოთეკა; სენაკის სათავად-აზნაურთა შკოლის განყოფილება მისი მეოხებით არსებობს და სხვ. ერთი სიტყვით ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ან კერძოთ და ან საზოგადოთ მისთვის ვისმეს მიემართოს და ურიგოთ გაწბილებულიყოს. მისი საკუთარი ანდაზაც ეს არის: „კეთილი საქმე უნდა საიდუმლოების ბოღჩაში გამოჰკრაო“.



სხვა-და-სხვა ამბავი.

მ ერთი თვეა, რაც მასწავლებლებმა განსნეს მამა-კაცთათვის საკვირაო სკოლა ნიკოლოზის სამოქალაქო სასწავლებელში. კიდეც დაიარებიან სასწავლებლათ 155 კაცი; უმეტესი ნაწილი მათგანი ხელოსნები არიან და თითქმის ნახევარი ქართველობაა. კარგი იქნება ყურადღება მიაქციონ ამ საქმის გამგე მასწავლებლებმა და ისეთ ენაზე უკ-თხონ წიგნები და ასწავლონ, რომ მათ შეგნება და სარგებლობა შეეძლოთ, თორემ ხალისია. ნათ მისულნი სასწავლებლათ, ისევ ადვილათ უკან დაიხვეიან. ჩვენი ქართველობა ერთი ორათ მეტ თანაგრძობას გამოუჩენს ხალხის გულ-შემატკივარ მასწავლებლებს, თუ ამ მხრივ ყურადღება იქნება მიქცეული.

* *

5 მაისს შესრულდება 50 წელიწადი, რაც თბილისში არსებობს წმიდა ნინოს სასწავლებელი. ამ დღეს წაიკითხვენ სასწავლებლის არსებობის ანგარიშს,

მეორე და მესამე დღეს გამართავენ სალიტერატურო დილას.

* *

თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობას ამ დღეებში ეუწყა ბ. ფინანსთა მინისტრისაგან, რომ სამინისტრომ შესაძლებელათ დაინახა შეცვალოს ხსენებული ბანკის წესდების რამდენიმე მუხლი. უმთავრესი ცვლილება მდგომარეობას შემდეგში: 1) თბილისის საადგილ-მამულო ბანკს ნება ეძლევა გააფრცელოს თავისი მოქმედება ბათუმის და ართვინის ოლქებში; 2) უფრო ნაკლები მოკლე ვადიანი სესხის გაცემა, ვინემ დღემდის იყო; და 3) დივიდენდის 20%, რომელიც დღემდის ბანკის მოხელეთ ურიგდებოდათ, ისე განაწილდეს, რომ აქედან 10% გადაიდოს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სასოფლო მეურნეობას თანხას შესადგენათ. ექვი არ არის, რომ ამ უკანასკნელ გადაწყვეტილებას სასარგებლოთ ჩათვლის ადგილობრივი მიწათ-მფლობელი წოდება.

* *


ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკსაც ეუწყა სამინისტროს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ამ ბანკსაც ეძლევა ნება ჩარიცხოს თავის მოქმედების რაიონში ბათუმის და ართვინის ოლქები. ამასთანავე ბანკს ეძლევა გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება არა უმეტეს 500,000 მან.

* *

თბილისში გასულ 1895 წელს, პოლიცემისტერის ცნობით, სულ 162,351 მცხოვრები ყოფილა. ამათ რიცხვში 88,274 კაცი და 74,077 ქალი. ამ საერთო რიცხვში სხვა-და-სხვა ერები ასე განაწილდებიან: ქართველები: 21,936 კაცი 19,615 ქალი; რუსები: 15,693 კაცი 13,290 ქალი; სომხები: 34,764 კაცი 31,437 ქალი; ოსები: 1,123 კაცი 877 ქალი; ბერძნები: 495 კაცი 276 ქალი; პოლონელები: 1,639 კაცი 1,198 ქალი; გერმანელები: 1,321 კაცი 808 ქალი; თათრები: 1,610 კაცი 1,094 ქალი; ქურთები: 177 კაცი 46 ქალი; აისორები: 1,169 კაცი 1,027 ქალი; ჩინები: 343 კაცი 13 ქალი; სპარსელები: 4,491 კაცი 1,334 ქალი; ებრაელები: 1,656 კაცი 1,690 ქალი; ქრაიმები: 19 და სხვანი 1,847 კაცი და 1,372 ქალი.

* *

„კავკასიის სამეურნეო გაზეთის“ სიტყვით



მიწათ-მოქმედების მინისტრს გადაუდგია კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისათვის 120,000 მან. 1896 წლის მუშაობისათვის.

* *

იმავე განეთს მოჰყავს ცნობები „Вѣст. Фин., пром. и торг.“-დან რუსეთის უცხოეთთან აღებ-მიცემობისა ევროპის საზღვარზე, კავკასიის შავი ზღვის განაპირით და ფინლანდიასთან ვაჭრობითურთ. მთელი ეს აღებ-მიცემობა გამოიხატება 1.000,068,000 მანეთით; ამ ჯამიდან 586,030,000 მანეთის გაუტანიათ და 414,038,000 მან. შემოუტანიათ. ცხოვრების სურსათს გატანაში უჭირავს პირველი ალაგი, ე. ი. ის შეადგენს 56,330/0. დაუმუშავებელ მასალათა გატანაში კავკასიასაც საკმარისი ალაგი უჭირავს, მან: ნაეთეულობა გაუტანიათ 55,836,000 ფუთი, რაც წარმოადგეს 23,683,000 მან. ღირებულებას; ძირ-ტკბილა—845,000 ფუთი 882,000 მან. კავკასია ღებულობდა აგრეთვე მონაწილეობას შემდეგ ნაწარ-მოებთა გატანაში: აბრეშუმის, პარკების, მატყლის, ხალიჩების, ტყავების, შავი ქვის, პირუტყვების და სხვ.

* *

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის ანგარიშიდან ჩანს, რომ წასულ 1895 წელს გადაუციათ 5,258,713 დეპეშა; ამათგან გაუგზავნიათ 2,444,168 დეპეშა და მიუღიათ 2.634,283. (Кавказь.)

* *

პოლიცემისტერის წლიური ანგარიშიდან ვტყობილობთ, რომ წასულ 1895 წ. თბილისში ყოფილა 12,082 ქვის და 127 ხის შენობა.

* *

ამ ქაშათ თბილისში ბ. მედედევის ხელმძღვანელობით განსაკუთრებითი კამისია შეუდგა საშუალო სამეურნეო სასწავლებლის პროექტის შემუშავებას.

* *

„კავკ. სამეურ გაზ.“ გვაცნობებს, რომ ავღაბარში რკინის გზის ლიანდაგის მახლობლათ აქაურ მოხელეებს აღმოუჩენიათ ლენის ქარხანა; თურმე ამ ქარხანაში ლენიოს აყენებდენ თათრულ ქიშიში-საგან და ქარხნის პატრონი, ივ. ლისოვი, რომელიც

თ. ჭავჭავაძის ფირმით ვაჭრობს, ამ ლენიოს ლენიოთ ასაღებდა.

* *


ხრეთიდან იწერება ბ. ლეონიძე გაზ. „ივერიაში“ შემდეგს:

ს. სჭეითა. სოფელს ხრეთს, შორაპნის მაზრაში, დილით ოც-და-ოთხს მარტს მოხდა საშინელი უბედურება: მოზვავდა და ჩაინგრა მთელი ოცდაექვსი მოსახლის, აზნაურისა და გლეხის ეზო, ევნახები და სახნავეები და ჩამარხა მიწაში მათი სახლ-კარი და საცხოვრებელი. რადგან დლით მოხდა ეს უბედურება, მცხოვრებლებმა მოასწრეს სახლებიდან გამოსვლა; გადაარჩინეს აგრეთვე პირუტყვიც, ხოლო დანარჩენი საცხოვრებელი: სახლები თავისს მოწყობილობით, ჭური და მარანი, სავსე ბეღლები და სასიმინდეები მტვრათ იქცა და ჩაინთქა უბსკრულში. დანგრეული ადგილი სივრცით იქნება სამი ოთხ-კუთხიანი ვერსი. შეუძლებელია გამოიცნოს კაცმა, ვინ სად მოსახლობდა, და ვისი რა იყო! ყოველივე არეული და გადახელილია ერთმანეთში... აღარ დარჩენიათ, არამც თუ სახნავ-სათესი, არამედ სახლის დასადგმელი ალაგიც, რომ შესძლონ შემდეგისათვის დასახლება! ამ გაუზედურებულ ხალხს დროებით თავი შეფარებული აქვს მეზობლებთან.

აღდგომის კვირაში, როდესაც ჩვეულებრივ მთელი იმერეთის სოფლის მცხოვრებლები მღერაინ, ლხინობენ და ქეიფობენ, ეს გაუბედურებული ხალხი, რიცხვით 130-დან 150-დე სული გულზე ხელოაწყობილი და თავ-დაკიდებული ოხვრით და ვაგებით დატიროდენ თავის უსაშუალო და უნუგეშო დღევანდელს და მომავალს ცხოვრებას!

ჩემს იქ ყოფნაში მოვიდენ შორაპნის მაზრის უფროსის გამოგზავნილი მოხელე და ადგილობრივი ბოქაულიც. მათის შეფასებითი მთელი დაღუპული უძრავ-მოძრავი ქონების ფასი შესდგა 89,651 მ. და 50 კაპ. თუ საჩქაროთ საიდანმე მათ შემწეობა არ მიეცათ შიმშილით დაიხოცებიან!

ორმოცი მოსახლე, ამ დანგრეულ ადგილების მეზობლათ მცხოვრები, მოელის აგრეთსავე უბედურებას; მთელი ამათი ადგილ-მამულიც დახსნილია და თანდათან ქვევით იწვეს.



285

საყურადღებო ამბები.



უსი. ს. რუისში ამოიჩინეს მამასახლისათ გამსახურაშვილი, იმის იმედით, რომ მდიდარია და უშვილო, რის გამო სოფლის ფულს არ შექამსო. იმედია ახალი მამასახლისი მიაქცევს ყურადღებას სოფლის წვრილ ქურდ-ბაცაცებს და შუა სოფლის გზას, რომელიც საძაგელ მდგომარეობაში ჩავარდება ხოლმე ავღრიან დღეებში და ზამთარში, ისე რომ არამც თუ ფენით მიმავალი ადამიანი იქ ვერ გაივლის, არამედ ცხენოსანსაც გაუჭირდება. მეორე უბედურება რუისისა ისაა, რომ წყალ-დიდობის დროს ყოველ მხრივ გზა შეგვეკვრის, რადგანაც არც მტკვარზეა ხიდი და არც ლიანხეზე; მართალია, ბორნები კი არის ხოლმე ქარელსა და სკრის პირდაპირ, მაგრამ წყალ-დიდობის გამო ან ხსნიან, ან წყალი აფუჭებს და დიდ ხანს ვეღარ აკეთებენ.

ს. რუისში არსებობს ერთ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც სწავლობს ორმოცამდე შეგირდი. ამ სკოლაში არ დაიარებიან არც ზემო და არც ქვემო უბნელები. რას უნდა მივაწეროთ ეს?

სასწავლებელთან არსებობს პატარა ბიბლიოთეკა, დაარსებული პატიეცემული კონსტანტინე მამაცაშვილის თაოსნობით. ახლა რუისელ მანდილოსანთ და ადგილობრივ მასწავლებელს განუზრახავთ სამკითხველს დაარსება და ბიბლიოთეკის გადიდება, რისთვისაც უნდა გამართონ ხელის მოწერა. იმედია თანაგრძნობას გამოიწვევს ეს საქმე.

ჭრისეული იასონა.

* *

ს. სუჭუბიძის (გურია) გვატყობინებენ მეტათ უნაურ ამბავს, რომელიც, თუ მართალია, ფრად საყურადღებო მაგალითათ უნდა ჩაითვალოს ყველა მეცნიერის მიერ. ერთი გლეხი წასულა სანადიროთ, მაგრამ გზა არეცია; დიდ თოვლის და ნამქერის გამო კვალი ვეღარ გაუკვლევი და გადაუწყვეტია იქვე დიდი მუხის ფულურაში ლამის გათევა. იგი შესულა შიგ, მაგრამ წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, როდესაც შიგ მწოლიარე დათვი დახვედრია. გლეხი კანკალს აუტანია, მაგრამ დათვი წამომდგარა, თათით ჩამოუბერტყია თოვლი გლეხისთვის და იდგილი დაუთმია. ის ღამე თურმე დათვი და გლეხი ერთად იყვნენ. მეორე დღეს გლეხი გათენებისას გზას შეუდგა; დათვი თურმე წინ მიუძღოდა, შეიყვანა სოფელში და დაბრუნდა უკან.

გაიგეს თუ არა ეს ამბავი სოფოლეებმა, მოინდომეს დათვის მოკლა, მაგრამ გლეხის თხოვნას დაუთმეს. მეორე დღეს მაღლიერმა გლეხმა დათვს მადლობა იმითი გადაუხადა, რომ ძღვენი წაუღო.

* *

ოსკალეთში. (ქართულ მკვამლიანის ნაამბობი და გუჩიელის ძეგლი).

ამას წინეთ რალაცა საქმეზე ვორდიდან სამსონში წავედი; დილა იყო, როცა გემიდან გამოვედი, წამოვეჯექ ზღვის პირათ და დალონებულმა დავიწყე სამშობლო ქვეყნისკენ ყურება, ამოვიღე ახალი მიღებული ქართული გაზეთები და დავიწყე კითხვა. არ გასულა ერთი წამიც, რომ ქართული ლაპარაკი მომესმა; გავიხედე და შევამჩნიე, რომ ორი ქართველი მკვამლიანი ერთი მეორეს ესაუბრებოდა ღ თანაც თითს ჩემკენ ანიშნებდნენ: ის კაცი ვილაცაა ჩვენებური ქართველი უნდა იყოსო, თქვა ერთმა; გამოჩქარებით ახლოს მოვიდა და უეცრათ შეჩერდა. შეჩერება თურმე იმას ნიშნავდა რომ ქართულათ სალამი დავიწყებოდა. შემდეგ უცებ წამოიძახა: „დილას გამარჯობით ბატონო“ და დაჯდა ჩემს ახლოს. — უკაცრავათ არ ვიყოთ, სადოვური ბრძანდებით? — მკითხა, როცა გაიგო საქართველოდან ვარ. აქან დაქანა თავი და თვალეზზე ცრემლი მოადგა, ერთიც გულიდან მწარეთ ამოიხრა და წარმოთქვა: „ძიავ¹⁾, ნამუსი და კაცობა და მემლექეთი²⁾. საქართველოდან გადამასახლეს, მეოთხე მუხაჯირის³⁾ დროს; მერე არც ვამიციანია ხეირიანათ და არც მიქეიფია“. ბევრი რამ მელაპარაკა და შემდეგ მკითხა: „ეს გაზეთები ქართულია, თუ რუსული“, აიღო ხელში და თავის ამხანაგს შეხედა: „ხუსეინ ხუსეინ! მოდი აქ, ჩვენ რომ ჩარჩამბას ვურუმის⁴⁾ ქლისეზე⁵⁾ ნაწერი ენახეთ, ამას არ გავდა? — ხო, მაგას გავდა, — უპასუხა ამხანაგმა. — კაცო და სირცხვილი არ არის ჩვენ ქართული ლაპარაკი ვიცოდეთ და ქართული ნაწერი ვერ ვიცნათ? მეორემ უპასუხა: სირცხვილია, მარა აქ ვინ გვასწავლიდა ქართულ წერასო. ჩვენ აღარ შეგვიცდია, დავემშვიდობე ყმაწვილებს და წავედი ჩელქე-

1) ძიავ არც თათრულია და არც ქართული, უნდა იყოს ქობული, ან და ბიძიავ.
 2) მემლექეთი თათრულათ სამშობლო ქვეყანა უნდა იყოს.
 3) მუხაჯირი ან საქლისან თათრულათ გადასახლება უნდა ნიშნავდეს.
 4) გურუმი თათრულათ ბეკენს ქვია.
 5) ქლისე თათრულათ კვლეხიას ქვია.

ზებში ცხენის საქირავებელათ; დავიქირავე ერთი ჯახრიკა და გავსწიე ჩარჩამბას; მეგონა დიდი რამ ძველი ნაშთი იყო. მივედი ბერძნის მეტამორფოს⁶⁾ ეკლესიაზე; შევხედე სამხრეთით გარეთ კედელზე, რომელზედაც ქართული ასოებით შემდეგი ეწერა.

„ჩუკთ სექტემბრის—კე-სა 1829 წ.

საფლავსა ამასა შინა მდებარე

ნეტარათ ხსენებული

გურიელი გიორგისძე ქაინასრო“

ამის გვერდზე: „აღმომკითხველო, შენდობა უბძანეთ“.

ეს წარწერა დიდხანს არ წაიშლება, რადგანაც ღრმათ არის ამოჭრილი. როცა ქვას ვუკვირდებოდი, რომ ეს წარწერა გადმომეღო, ამ დროს ერთი მოხუცი ბერძენი თავზე დამადგა, სალამის შემდეგ მკითხა: ეს რა ნაწერა არისო? ათი წლის ვიქნებოდი, როცა ეს კაცი აქ გადაიყვალა; ესენი სულ იქნებოდნენ ოცამდინ, ქალი და კაცი; ძლიერ ტიროდნო: ბატონო! ბატონო! იძახოდნო, და მკითხა რა არის ბატონოვო. ესენი შემდეგ ათი დღე დარჩნენ აქ რმერე წავედნენ აღმოსავლეთისკენ რ მას აქეთ ამა ნაწერის წამკითხველი არავინ მოსულა და არც ვიცოდი თუ ქართული წერა-კითხვა იყოვო.—მე საქირათ დავინახე მეკითხა სახელი და მითხრა ჩვენ გვეტყვიან: იან-ალა-სარაფიდის და ეს ეკლესია ჩვენ გვაბარიაო. ამოვიღე ქართული ფული რ ვუჩვენე: აი იან-ალა, ქართველებს ფული ჰქონდათ, არა თუ წერა-კითხვა, ქართველებს უფრო შორ ქვეყნებშიაც კი იცნობენ და თქვენ რისთვის არ იცით, როცა მეზობელი ვართ-მეთქი. აილო ხელში ფული, ამოილო სათვალე და დაუწყო ყურება, დაინახა ქართული გვირგვინი და მითხრა: აი ასეთი გვირგვინი აქ ერთ ქვაზედაც იყოვო; წამიყვანა და მანახვა მარმარილოს ქვაზე შევნიერათ ამოჭრილი ქართული გვირგვინი, რომელიც ორ ანგელოზს უჭერია ხელში. შემდეგ წამიყვანა სახლში, ბევრი რამ მელაპარაკა და მერე დიდი ბოდიში მოითხოვა და მითხრა: ეს ძველი არ უნდა მოგვეშალა, მაგრამ როცა ეს კაცი იქ შეინახეს, ეკლესია ძლიერ პატარა იყო და მერე 1875 წ. დაეშალეთ და გავადიდეთ. ამისათვის მეტი გასაქანი გზა არ იყო და იპულებული გავხდით დაგვეშალა ძველი. დაეშალეთ, ის ქვა, რომელზედაც წარწერა იყო, გარეთ კედელში ჩავაშენეთ, გვირგვინი იქ აღარ შეშენოდა, ამისათვის ეკლესიის უკან მალალ ადგილზე მივაშენეთ; მაშინ აქ ეკლესიის დაშლაზე ვბისკოპოსი ბრძანდებოდა და ამ კაცის ძელები ამო-

ხიკა და ერთ ამიტკლის შტომარაში ჩააწყო, აკურთხა და საკურთხეველში შეინახავო.

ეტყობოდა სწორეთ ეს სარაფიდი კარგი განათლებული კაცი იყო, რუსეთშიაც შეიღებოდა ყოლია ვაჭრებათ, კარგი პატივი მცა და ვერე გამომისტუმრა.

ერთიც ძველი ორი წლით წინაზე ეუნიას ენახე, მაგრამ წარწერა წაშლილიყო, მარტო შემდეგი ეტყობოდა .ჩუ. სოფია წ*. ჩარჩამბა სამსონიდან აღმოსავლეთით 40 ვერსის სიშორეზეა.

გუჭრუელი ჩხაიძე.

ქ. ქუთაისი. 5 ნოემბერს 1894 წ. ქალაქის საბჭომ დაადგინა ნოქრების თხოვნით, რომ კვირა-უქმე დღეს ვაჭრობა მხოლოდ შუადღეს შემდეგ სალამოს ექვს საათამდე წარმოებდეს, რამაც, ცოტათი მაინც დააკმაყოფილა აქაური ნოქრები. ეს გადწყვეტილება, რომელიც დამტკიცებულ იქნა სამხედრო გუბერნატორის მიერ 1895 წ. მაისიდან, პირველათ სრულდებოდა რამდენიმეთ მაინც, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ისე თან-და-თან შეეკვეცა ფრთები და დღეს სრულებით აღარავინ აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ კვირა-უქმე დღეებში დილიდან საღამომდის ღიაა მაღაზიები და ვაჭრობაა გაჩაღებული. ამიტომ ნოქრები ისევ იძულებული არიან მართებლობას მიმართონ, რათა მათი უფლება აღდგენილ იქნეს.

მარტის 30 იყო დანიშნული ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიური კრება, რომელზედაც განიხილეს 1895 წლის შემოსავალ-გასავალი, და ბოლოს უნდა აერჩიათ ერთი დირექტორი მ. ნ. ქუთათელაძის მაგიერ, რომელსაც კანონით ვადა შეუხსრულდა. კრებამ აირჩია იგივე ქუთათელაძე ხმის უმეტესობით (185 თეთრით).

გუჭრუელი ამხანაგი

გუჭრუა. ცხოვრება ჩვენში შესამჩნევათ იცვლება... გაჭირვება უბედურების მეტს აღარაფერს ეხედეთ რ ამ გაჭირვების დროს ჩარჩები რ გამოქნილი კაცები სარგებლობენ. „ღმერთმა უშველოს მაღხაზიას, თვარა კინალამ დამინგრის ბოქაულებმა ოჯახიო. კიდევ იმან მასესხა თუმანი ათ შაურათ თევშიო“, უმადლის გაჭირვებული გლეხი მოვახმეს.

გურული დრტენით ამბობს: „ქალიკონი, (ქარია, რომელმაც დიდი ზარალი მიცა გურიას შარშან) წყალ-დიდობა და დიდ-თავლობა ხომ გასაკვი

6) მეტამორფოს ეკლესია ბერძნულათ ფერისცვალების ეკლესია ჰქვია.

287
 რალია, მარა ამ გაჭირვების დროს გადასახადის ასე საფარცავოთ გაძლიერება რა ამბავიაო. ისედაც დაძაბუნებულებს, თუ რამე გვებადა ორი დღის სულის დასაპურებულო—გვართმევენ და შიმშილის მეტი აღარა მოგველისო. „მოსე მწერლის“ გვარი სოფლის მოხელენი ბევრია გურიაში, მაგრამ ნიგოთი სხვა სოფლებზე უფრო წინ არის ამ მხრივ; აქაც არსებობს გამოქნილ პირთა გუნდი, რომლის მეოხებით შესაბრაღისათ იჩაგრებიან მცხოვრებნი. მრავალთა შორის რამდენიმე მაგალითი ამ გუნდის მოქმედებიდან: ნიგოთის ახალი უკოლის შენობის 900 მანეთს მეორეთ ახდევინებენ სოფელს. მოხდება ხოლმე, რომ მაღაზიის ფულს, რომელიც საზოგადოების სასარგებლოთ არის დაარსებული, ორჯელ აიღებენ სოფლიდან და ხშირათ არც ერთი აღარა ჩანს. ხშირია იგიც, რომ ვხების გასაკეთებლოთ სოფელს ახდევინებენ ფულს და კერძო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლოთ იხმარება. „ბლანკების“ ფული, რომელიც საზოგადოებას უნდა მოხმარდეს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ არ ვინ იცის!..

წასულ წელს მამასახლისის ამორჩევის დროს ძალ-მომხრებასჰქონდა ალაგი, ამიტომ ვშიშობთ, რომ მომავალი არჩევანების დროს, რაც აღრე უნდა მოხდეს, იმავე ძალ-მომხრებამ არ იჩინოს თავი. იმედია ბ. მაზრის უფროსი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას.

ერთი სასიამოვნო ამბავიც უნდა გაცნობოთ: თ. დიმ. მაჭუტაძის მეცადინეობით ნიგოთში გაიხსნება სახალხო წიგნთ-საცავი, რაზედაც ბევრმა აღუთქვა შემწეობა.

ვინმე გუჭრული.



კარაბადინში დაცული შელოცვანი.



კანასკნელ დროს მეცნიერებამ დიდი ყურადღება მიაქცია სხვა-და-სხვა ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენას კაცის და ქვეყნის შექმნის შესახებ, შეადარა უფძველესი ცნობანი აწმყო მღვთმარეობას და დარწმუნდა, რომ ქრისტიანობას, ანუ ისლამს ვერ შთაუთქვას მამა-პაპათა რელიგია; მათი ჩვეულებანი, შეცვლილნი ახალი ცხოვრების მიმდინარეობით, გვისურათებენ ჩვენ წინაპართა გონებითს საზღოს. განსაკუთრებითი ინტერესი აღძრა შელოცვების შესწავლამ და აღმოჩნდა მეტათ საყურადღებო გარემოება, სახელდობრ ის, რომ ევროპის ერთა შელოცვანი მომდინარეობენ ეგვიპტიდან, ან ასსურეთ-ბაბილონიდან.

ჩვენ წიგნში „ისტორია ქართული სიტყვიერებისა“ მოგვეყავს რამდენიმე შელოცვა რუსულთა დათარგმნილი. მაგრამ მოგეხსენებათ, შელოცვის გადაცემა უცხო ენაზე მეტათ ძნელია და ამიტომ განვიზარხნეთ ქართულათვე გავაცნოთ მკითხველს ჩვენ მიერ შეკრებილი შელოცვანი. რასაც ამ პირველს წერილში მოგახსენებთ, იგი ამოწერილი იქნება ძველი კარაბადინიდან, რომელიც საექიმო წიგნათ არს აქამდის ცნობილი.

1. ლოცვა თვალში ფრჩხილისა.

ჩვენ ბანს უკან ზღვა არის, ზღვაში კალოა, კალოში ძნა არის, ძნაში ხელურია, ხელურში მუჭია, მუჭში თავთავია, თავთავში მარცვალია, წავა მარცვალი, მარცვალს ჩამოაგდებს, ასემც-ვაჰხმები თვალში ფრჩხილო, როგორც რომ წყალში მარილი (შვიდი მარცვალი და ცოტა მარილი მუჭაში უნდა გექროს და ისე ულოცო და წყალში ჩაყარო).

2. ლოცვა წითელი ქაჩისა.

სახელითა ღეთისა მამისა ძისათა სულისა წმიდისათა! ღეთის ღედა მარიამ წაეიდა გზასა იერუსალიმისასა, შემოეყარა წითელი ქარი, უბრძანა ღეთისა ღედამან მარიამმა: სად მიხვალ წითელო ქარო?— ადამიანის ტანში მივალ, ჰრქვა ქარმან, გულის საწუხნებლოთ და ცეცხლის ანთებათ. უბრძანა ღეთისა ღედამან: დაბრუნდი, დაბრუნდი ქვეითა, მოგცემ ზენა ქარსა, ჩაგატანებ ქვენა ქარსა, მთასა ხარ ენმეკისასა, ჩაგატანებ კელმეკისასა; ტვინში იყო, ძვალში გამოდი, ძვალში იყო, ხორცში გამოდი, ხორცში იყო, ტყავში გამოდი და ტყავში იყო, კარში გამოდი; გამოდი, გამოჰყე ჩემს ლოცვასა, გამოგიყვან შავი ღორის ჭყვილითა, შავი მამლის ყივილითა, გაგლესამ მენის ტენითა, ცეცხლის ფოწლითა, ჩაგაგდებ ქვაბსა ზარფოშიანსა, გაგწვავ, დაგდაგავ. ღმერთო უღონინე (მონასა, ანუ მხვეალსა. სახელი).

3. ლოცვა ღუფგოსი.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! გამოვიდა შავი კაცი, შავი ცხენით, შავი ლაგმით, შავით შემოსილებითა, შემოეყარა მას მიხვილ და გაბრიელ მთავარ ანგელოსნი. ჰკითხეს მას: სად მიხვალ შენ, შავო კაცო, შავი ცხენით, შავი ლაგმით, შავი შემკობილობითა? და მან ჰრქვა: მე მივალ ადამიანის ტანში შესასვლელათ, ძვლის სახრავათ, რბილის საქმელათ, სისხლის სასმელათ, გულის საწუხნებლოთ. ჰრქვა ანგელოსმან: არ გაგიშვებ,

მამამ იცის და ძემ და სულმა წმიდამან, ადამიანის ტანში შესასვლელათ, არც ძვალის სახრავათ, არც რბილის საჭმელათ და არც გულის შესაწუხებლათ; მოვიტან ჩემსა შელესილსა, აგჭრი და დაგკვეკ; ჩაგაღვამ ქებაში, შემოგინთებ ცეცხლსა ნათისასა, გხარშავ სამეოცდა ხუთს წელიწადს, მოვიტან ოქროს ფიწალსა, გადაგაგდებ მთასა გორისასა. ღმერთო ულხინე სნეულსა (სახელი). ამ ლოცვას რომ ამბობდე, კალამი ამოწე და დუღგოზე უნდა სწერო. წამალი ორი ან სამი კვერცხის გული; ნედლი ტირიფის ქერქი, ზემოთ პირი კი გადაართვი და სარჩული კი კარგათ დანაყე, ქებას მური და წმინდა ფქვილი ერთათ დაზილე და სამ დილას ულოცე, მორჩება.

4. ლოცვა მუცლის ტკივილის.

მთასა ისეთი ღვთისასა, წყალი მოდის იღვთი ღვთისასა, მოჭტორინამს ფრინველი იღვთი ღვთისასა, შეჯდა ხესა იღვთი ღვთისასა, ჰყრიდა ნაკერტნსა იღვთი ღვთისასა, მოვიდა დედაკაცი ფოცვად მოცინარე, სვა წყალი იგი იღვთი ღვთისასა, ლაღად ჰყო: უფალო შემიწყალე მე და ასოთა ჩემთაგან გამოიყვანე ტენა ტამაჭისა და ასონი დატკბენ და იგინივე სიტყვანი მანიჭენ მოსაგსა თქვენსა (სახელი).

5. ლოცვა თვალებისა. კუჩნება წმიდათა ნუქდილისი (?)

გამოვიდა ზღვით კაცი, იძახდა ლომი, ბლაოდა, ვითარცა კატა, შემთხენა მას წმინდანი მთავარ ანგელოსნი მიქელ და გაბრიელ, ჰკითხეს: საით მიდინარო შენ, ზღვის კაცო? მიუგო მან: მე ვიყავ ზღვათა შინა, ქვასა ვლრჭნიდი, ქვიშას ეჭამდი, აწ მოვედი ზღვით შეველ კაცის თავსა, ნახევარ სისხლსა შევხვრეტ, ნახევარ ტვინსა შევჭამ, ნახევარ ძვალსა დავლეე და თვალთა შეუხდები. უბრძანა მიქელ-გაბრიელ მთავარ-ანგელოსმან: ეგ არ იქნების, წარვედ და განეშორე (მონასა ანუ მხვეალსა, სახელი), წარვედ მუნვე ზღვათა შინა, ზღვისა ქვასა ღრჭნიდე და ქვიშასა ზღვისასა სჭამდე, განეშორეთ და განრენით ღვთისითა (სახელი).

6. მიწაზე აყოლილისა შეტყობა, წამალი და ლოცვა.

მიწაზე აყოლილი ეს არის, რომ გარეთ სადმე ადგილზე კაცს დაემონოს და როდესაც გამოეღვიძება, მაშინ ზოგს ენა დაეხმის, ზოგი დაიხუთება და ზოგს რაიმე არ გაუკავდება. ასრეთ ბევრზე მოამბარა, ამას ესრეთ უწამლე: მოილე ყოველივე, რაც იშოვნო საჭმლის მარცვლები თითოსაგან ხუთ-ხუთი მარცვალი და ერთათ აურიე და საცა იწვა, ანუ იჯ-

და, იმ ადგილს მოთხარე. მიწა აქა-იქა ოთხს ადგილს ჯვარედინათ, ჯერ იმ ამოთხრილებში ჩაყარე ის მარცვლები და მერე ისევე ამოილე და მიწაც ამოიტანე ცოტ-ცოტათი და ავთამყოფს ხელსა და ფეხის თითებში გამოუყარე და ჴევიდანეე დაყარე და მერე ის მიწა გამოჰკარ და ცეცხლში შეაგდე და ეს ლოცვა ულოცე: სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ. ქარი ხარ, ქარ საყმაწვილო ხარ, სმისა ხარ, ჰამისა ხარ, ქალისა ხარ, კაცისა ხარ, მიწისა ხარ, კედრისაგან, ყვედრისაგან და ცემგალანდებისაგან, ქაში ქაკშაჯურისაგან, უქმურისა ხარ, სიცხისა ხარ, სიცივისა ხარ, განშორდი ამ სნეულსა, ხვარსან მყოფელო და მხსნელო ღმერთო, იხსენ და ულხინე (მონასა ანუ მხვეალსა შენსა, სახელი).

შემდეგ წერილში მოვიყვანთ ხალხში დარჩენილ შელოცვებს.

ა. ხასხასაშვილი.



ბოშას სიმღერა.

(გეგმან-სულიანს)




ყო ერთი პაწია ბოშა-ბიჭი, ძალიან ღარიბი, ისეთი ღარიბი და ბინძური, რომ ძალიც არ ჰქამდა იმისაგან მოტენილ პურს. ის დაწანწალედა ნიადაგ ფეხშიშველა და წვივებ დაჩურთული. მის შავგვრემანს ტანს მთელი პერანგი არ მიჰკარებია. ყველა ერიდებოდა ამ ტალახიან ბავშვს და ყოველ მის შეხვედრაზე პირს იბრუნებდა. ყველა მას უტატანებდა: - ფუი, შე საძაველო ტალიხიანო გოჭოვო. ახლოს არ მოგვეკარო, ჩაჯექ მანდეე კარებში, სახლი არ აგვიქოთოვო. ხანდახან ნესვის ან საზამთროს ქერს თუ გადაუგდებდენ, სამოწყალოთ, ისიც დიდი იყო მისთვის.

ამგვართ დაწოწავდა ეს საწყალი. ყველასგან ათვალწუნებულნი, ტიროდა თავის ქვეყნის მოშორებას, რომელიც იყო შორს ცივ-ღრუბლებიანს მხარეში.

ერთხელ მოვიდა ღრუბელზე მჯდომარე ღამაში ფერია, სახელათ დელი-ბაბა, დაინახა ეს საწყალი ბიჭი, შეეცოდა და დაეშვა ღრუბლიდან. ფერია დელი-ბაბას უფრო გაჭირებულნი უყვარდა, ვიდრე მდიდრის შვილები, რომელთაც საღამომდის ძინავთ, საღამოს გამოიღვიძებენ მხოლოდ იმისთვის, რომ სიამოვნებით დათერენ და კვლავ დაიძინონ.

ფერია დელი-ბაბა ეჩვენა გაჭირებულ ბოშა-



283
 ბიქს მზეებრ განსხიეებული, დაადვა ბრწყინვალე ხელი თვალებზე და უთხრა: „შენ ხარ ერთი საწყალი ბავში, სახელათ მისკო. მეცოდები და ამიტომ მე შენ გასწაველი ერთ სათილისმო სიტყვას. როგორც კი იმ სიტყვას წარმოთქვამ, მაშინვე ყველას სხვა ფრათ მოეჩვენები—შვენიერათ, კეთილ-შობილ არსებათ და ყველა შეგიყვარებს. ჩაიბეჭდე გულში

ეს სიტყვა და ნუ დაივიწყებ. აი, ეს სიტყვა; „ცოცალი!“ ამას შემდეგ ფერია ვაჰქრა მზის სხივებში დამშეული და ყველასაგან მოძულეებული პაწია მისკო მიადგა ერთ დიდ კაცის სასახლეს ღ წამოიძახა „ცოცალი!..“ უეცრათ პაწია გლახაკი გადაიქცა შვენიერ დიდებულ არსებათ ღ ყველამ შეიყვარა იგი. მაგრამ ვაგიდა დრო ღ ის ისევ მინდორში დაწანწალებდა.



ბოშის სიმღერა.

ერთხელ კიდევ, ეს ბოშა ბიჭი მივიდა ერთ დიდ კაცის სასახლეში, ამოიწმინდა ცრემლოები, აილო_ჩანგი და დაამღერა „ბოშას სიმღერა“, მოვიდენ

ბატონის მწყემსები, დაუგდეს ყური მის ჩანგს და ისე აღელდენ მისი სიმღერით, რომ ყველამ დაიწყო ცეკვა და მხიარულება, მოვიდა ბატონის მოუ-



რაიც, რომელსაც არა ერთხელ გადაეწნა ბოშა ბიჭის ზურგზე მათრახი, და მხიარულათ მიაწოდა ღვინით გავსებული ჭიქა: „დალიე დალიე“. შენ უბ-

რალო ბოშა მეგონე და თურმე ყველა მეცნიერებზე მეტი გცოდნიაო — უთხრა მოურავმა. უცრათ ყველას შეუყვარდა პატარა ბოშა ბიჭი. ყველა




მ. თ. ა. მ. მ. გ. ბ. შ. ა. - ქ. ა. ლ. ი.

ეფერებოდა და ჰკოცნიდა. მას ეძახდნენ ოქროს თმიან-სა და არქმევდნენ სასიყვარულო სახელებსა. პაწია ბოშა ძალიან გამხიარულდა, გასათუთდა და დაიწ-ჩო ისევ მინდვრათ წანწალი. მოშორდა ბატონის სასახლეს და გადიკარგა სხვა ქვეყანაში.

აქ მას დაუწყეს ისევ ცუდათ მოპყრობა, რო-გორც ქურდ ბაცაცას, სცემდნენ, ზოგი წაიდებდა ფეხქვეშ და თელავდა, ძაღლებს უსისიანებდნენ. ბო-ლოს მიაღწია საწყალმა ბოშა ბიჭმა ერთ კარ-გამო-კეტილ ქოხთან და დაურაკუნა. უცბათ გაიღო კა-რები. იქ იჯდა ერთი შვენიერი ქალი და ქათამს ფუფქავდა ანთებულ კერას წინ. ოჰ, რა გულ-ამაყია ეს ქალი! მას ეტრფის მთელი იმ სოფლის ბიჭები. საწყალი ბოშა-ბიჭი მურტალი, წვირიანი, ტალახში ამოსვრილი, 'მიშველი ფეხებით შევიდა ქოხში, დაჯ-და კერას წინ, მომართა ჩანკი და დაუკრა, თანაც მღერის და მღერის შვენიერათ. ამ სიმღერაში ხან-და-ხან ისმის სიტყვა „ცოცალი!“ ქალმა ქათმის ფუფქვას თავი მიანება, მიჯდა კერასთან და ჩაფიქრ-და, ცოტა ხანს შემდეგ ღრმით ამოიხენწემა, ბოლოს მორთო ქეთინი, მერე უეცრათ წამოხტა და მოეხ-ვია ბოშა-ბიჭს ყელზე. მას წარმოუდგა ეს ბოშა-ბი-ჭი, ვით ანგელოზი ფრთიანი და როგორც მეფე, ისე მდიდარი. ქალს შეუყვარდა ბოშა-ბიჭი გაგიყვებით და თავის ცხელ ტუჩებს აწებებდა მის ტუჩებზე. ეს მოახდინა ფერია დელი-ბაბამ თავის მომჯადოებელი „ბოშას სიმღერით“.

დილის ღრუბლები ჰქრებიან, მზემ მალლა ამო-იწია, დაცხა და შუადღემაც მოატანა. ბოშა-ბიჭს არა აქვს მოსვენება, ის ისევ დაწანწალებს, გაღირ-ბენს გორებს და მინდვრებს, ისევ ბინძური, და-კონკილი ტანსაცმლით, ფეხ-მიშველი წვივებ და-ჩუთრული, მაგრამ ჩანგი მაინც ხელში უჭირავს, და როცა მოისურვებს, ჩამოჰკრავს სიმებს და დაამლე-რებს თავის მომჯადოებელ „ბოშას ხიმღერას“. ამის ხმაზე ბუნება სმენათ გადაიქცევა და ყველანი დნე-ბიან ბოშა-ბიჭის სიყვარულით.



მოთამაშე ბოშა-ქალი

(გუჩუხუღიანს)




ითა ვთერი, მოჰქრის უდარდელათ წელ-წერ-წეტი ბოშა-ქალი. დღეს ის მხიარულია, რო-გორც ნათელი მოკრალებული ცა, ხელი კი მისი სახე მოღუშულია, ვით მოღრუბლული მრისხა-

ნე ცა. დღეს თამაშობს და ცეკვავს მხიარულათ ბო-შათა მეფის ასული დაფ-ღუღუკის ხმაზე, მისი თვალები ცეცხლს აფრქვევენ, მისი სახე მკერდი ღრმით იძვრის და ფშვინავს, ის თრთის გრძნობათა ლელვი-საგან, რადგან იცის, რომ შორიდან მას დაშტერე-ბია წვერ-უღვამ ამწვანებული ახალგაზდა სოფრომის თვალები—მაგრამ ხეალ? ხეალკი თავჩალუნული მწუ-ხარე, ცრემლ-მფრქვევი მიწანწალებს თავის ურდოს-თან ერთათ. ბოშათა გროვას უკან მისდევენ წყველი-თა და კრუღვით პოლიციის მოხელენი და სცემენ უწყალოთ თვით ბოშათა მეფის ასულსაც. მაგრამ ეს ვაივავლახი მალე დაავიწყდება, მალე არც ერთ ბო-შას აღარ ახსოვს ბნელი ნესტიანი ოთახი საპყრობი-ლისა, საცა დატუსაღებულს ბოშებს გაუტარებიათ რამდენიმე შავი დღეები. ჩიტიც ხომ აგრეა, რაკი გალიას თავს დაახწევს, ფრთა ფრთას შემოჰკრავს და მხიარულ სტენით შეითამაშებს, გადიკარგება ლაქ-ვარდ ცის სივრცეში.

ასეთია მაიკოც, ბოშა-მეფის ასული, იმას დარ-დი არა აქვს, რომ რამდენიმე დღე ბნელ სატუსაღოს ოთახში კარჩაკეტილი გაატარა. დღეს ხომ თავისუ-ფალია, თავისუფალი... მის თვალწინ გადაშლილა ქვეყანა შორს თოვლიან მთებამდის, საიდანაც მოჰ-ქრის გულის გამაგრილებელი სიო. ღრმით შეისუნ-თქა ბოშა-მეფის ასულმა ეს გულის დამტკობი სიო. აბურთდა მისი მკერდი, გაისმა ბოშას ურდოში დუ-ღუკის ხმა, შეკრთა მისი გული და აუთამაშდა ფე-ხები; დახე ის კიდევ მოჰქრის ნელი ნიავივით, ტანს არხევს ალვის ხესავით, უეცრათ მან თვალები ძირს დანარა, თითქოს შერცხვავა, რომ მას სოფრომმა თვალი-თვალში გაუყარა, სიყვარულის ისარი მკერდ-ში ჩაუწვდინა და გული შეუთამაშა. მალე უნდა იქნეს მათი ქორწილიც. აქ ერთ ნასოფლარზე ბო-შათ ურდოს კარები დაუცია. აქ არის მეფის ასუ-ლის დროებითი სასახლე გამართული, სადაც ახალ დაქორწინებულნი ბედნიერ დროს ატარებენ, სანამ-დის არ მოუვით დრო აბარგებისა და წანწალისა.

მოშორებით, ერთ პატარა კარავში დიდი ამბავი და ხმაურობაა. იქ მზადდება საქორწილო დღესასწაუ-ლი, აცხობენ პურს, ჰკვლენ ცხვრებს, რომელნიც მახლობელ სოფლებში მოუპარავთ, ჩამოუხსნიათ ცხე-ნიდან ღვინით სახე ტიკები და ჩაუცივებათ მთის წყაროში. ერთი მარჯვე ბოშა, სახელათ დათა, შინ-ჯავს თვალის ქნევით ყველს, ვითომ და მისი მოპა-რული არ არის მახლობელ მწყემსებ შორის. იმას თვალწინ უდგია ის ბნელი ღამე, როცა მიე-პარა მწყემსების ქოხს; თვით უფროს მწყემს ქოხის კარებში ეძინა. დათამ ზედ გადააბიჯა, შეიპარა ქოხ-ში და ყველებით სახე ხალაში ამოცალა. ქურდი



ბევრია ამ ბოშათა ურდოში, მაგრამ დათასთანა მარჯვე და ფერმარდი ქურდი კი არ მოიძევება. სა ნამდის სამზარეულოში საჭმელებს ამზადებდენ, მა- კო თამაშობს გულის წარმტაც ლეკურს. ის ხარობს თავის სიახლოვანდით. დღეს ის თავის გულის პატ- რონია, ის მეფეა სიყვარულისა, ბედნიერია ის, ვინც მას მოეწონება. მაგრამ ერთი დრო არაფის შერჩენა. ბოლოს ჭკნება მაიკოს სილამაზეც და მასთან ურ- დოში პატივიც ანებება. ახლა ეს ერთი უბედური და ყველას მოსამაახურე, ხანში შესული ქალია, რომელსაც შვილები მუდამ ზურგზე ჰკიდია, მას მოსვენ- ნება არა აქვს, როგორც საპაღონით დატვირთულ ცხენსა, რომელსაც მუდამ სცემენ და თან ერეკე- ბიან.



ღმერთა ბინდი.

(ჭეინუდან — გერმანულით)

მასი დადგა თავის ბრწყინვალე ოქროს შუქითა, ნაზი სიოთი და მტენარეთა ფშვინვა-სუნელით, და იწვევს ყველას თუთრ ყვავილების ღამაზ თავ- ქნევით,

ნოჩნთა იათა ცისფერ თავალებთ გზანის საღამსა, ჭშლის შვენთესა ვარდებით შემკულს მწვანე საღამსა, დილის ნამითა და მზის სხივებით გამოქარგულსა, და ზედ სავარდელ ადამის ტომსა ეპატიუება. გულ-ღია საღსი მიწვევის წამსვე ემოჩნდება; კაცები იტმენ ფერად-ფერადსა შალის შარვლებსა და საკვირთა, ღილებ-კრიალსა ღამაზ ტან-საცმელს; მანდილანები უმანგო თუთრათ იმოსებიან; ჭაბუკნი ტურფათ აშლილს უღვამსა იტრესენ გოხტათ ქაღწულთ გულ-მკერდი თავისუფალ შკებით უღელავთ; პოეტნი ქაღაღს, სათვალეს, გაღამს იწყობენ მარდათ უბას ჯიბეში, — და ზეიმიითა ქაღაქს გარეთა მიეშურება ეს ჭრელი ჯარნი, იქ ეფინება რბილ, მწვანე მოღსე მხიარულათა, შესტრფის სეებსა, მიფთქავ კოკრების გულსა გადაშლილს, ღამაზს ზეშელებს და ყვავილებსა ეთამაშება, სტებება ჩიტების სამურთი სტეკნა-ჭიკჭიკით, და აღტაცებსა შეჭვივის ცისა ნათელ გამარას.

და მეტ მწვანე ტურფა მისი. კარები სამჯერ დამიარკუნა და დამიძახა: „მე ვარ მისი, მოდი, ფერ-მკრთალე ოცნების შვილო, მინდა გაკაცო!“ მე არ გაუღე კარები მაგრათ გადაწაზული და გამოვასხე: „ტყუელთ მაცთუნებ, ავო სტუძარე!“

მე შენ გავიცან, მე მთლად გავიცან ამა სოფლის სიდიდე; გუტქერდი დიდხანს... ღრმა დაკვირვებით, და განქრად ყველას მხიარულებს და ჩემ გულს ტანჯავს საუკუნო დაუბატონა. მე განვტყუებ ვანთა ოჯახით და გულთა სქელ ქვის კედ- ლეებში,


შიგ ვსედავ მსოფლოთ, აქაც და იქაც, სიბილწეს, ბოროტს, საცოდავობას. ვანის სასეზე მე ვკითხულობ უწმინდურ ფიქრებს. მოცრცხვი ქაღწულის სიწითლეს ჭკეშს მე ვჭვრეტ იდუმალ მითროფვარე გნებას, აღფრთოვანებულ, ამაყ ჭაბუკის თავზე მე ვსედავ ვადარუნს ჭრელ ჩაზს; და მსოფლოდ სასეთ დაღრეჯილთ, ღანდებს საცოდავს ვსედავ ამ ქვეყნათ ვეგებან, და დედა-მიწა არ მესმის რა — საგიჟეთის თუ საავადმყოფო. მოხუცებულსა ჩვენს დედა-მიწას, ვით ბოროტის მკერდშია, ჩავსედე ნათლათ, და საზარდობას ვსედავ მე შიგა; რამელს ამათ მოჭიფენ მისი მხიარულ მწვანეს. მე ვსედავ მკვდრებსა, შიგ წვეს ვიწროთ სის გუბოეში, სელებ დაკრევილ, თვალ-ანილუღნი, თუთრ სუდრებით და თუთრის სახით, და ბაგეთ დრდნიან ვეითელი მატლნი. მე ვსედავ, შვილი თავის საყვარლოთ მამის საფლავზე ჯდება საცელქოთ; ბუღბუღნი სტეკენ დაცინვის ჭანგებს, მინდვრის ყვავილებს გააქეთ ვისვისი, მკვდარი მამა ვი იძვრის საფლავში — და გამწარებულ თრთის დედა მიწა.

საბოლოო მიწავ, ვსედავ შენ ტანჯავს მე ვსედავ შენი გულის სიღრმეში მღულარე ტრცხლსა; მე ვსედავ სისხლსა შენი ათასი ძარღვით მონადენს; შენ წელულსა ვსედავ, — ჭფეთქს და ისინება და ზეცას სტეოტრცხის ალს, კვამლს და სისხლსა. ვსედავ შენ შვილებს, ბუბუბუკაზ — დეგებს, იმ მოდგმის მკელსა: ბნელ უფსკრულებით ზე ამოდინ და ანთებულ ვინუდილთ მადლს ჭეჩქარში აქნევენ მძლავრათ, ზე აუღებენ რკინის ვიბესა და გაბარებით მიჭქრინს მადლს, სამარო ზეცას. მათ სდევენ ტრცხვით შავი ჯუჯები. დასქდენ, დაიმსხვრენ ზეცისა სომღსე ოქროს ვარსკვლავნი. გაღაღებულნი მრისსანეთ ჭვლეკენ ოქროს ფარდასა, სამყოფელს ღვთისას, საზარდ ღრიალით დაქმნო მიჩქვე ღვთის ანგულანთა მოჩხილი რაზმი. თავის ტანტზე ზის ღმერთი ფერ-მკრთალი,

293

იგლეჯს გვირგვინსა, თავზე თმას იგლეჯს—
 და სხლას მადღა ჯანი მსეცემის.
 დეენი ისგვიან ანთებულ ჟინუდილოთ
 ზეცის სივრცეში. ჟუჟუბი ჰკეპენ
 ცეცხლის მათხანით ანგელთათ ზუგზუე.
 ანგელთაზე, სიმწით მოსწილნი, იგვიანებანი;
 რას გმძელი თმებით მათრეკენ შიშსა გასტეორცენ.
 და ჰემ საგუთარ ანგელთსაც შე იქა კსედავ
 სუტუტსა, რქელ თმინსა, ტუბილ, წმიდა სსეს,
 ბაგეთ ჩასახულ საუკუნთ სიყვარულითა,
 და ცისფერ თვალებს ნეტარებით განათებულეს.—
 საზიზღარი შავი ქაჯუნა მას ჰკიდებს სელსა,
 ააფრენს მადღა, ჰემს ანგელთსა, ჰემ ნაზს და იყრ-
 მგრთას,
 კბილ-დაკრეჭილი, მსუნაგ თვალს ავლებს მის წმიდა სხე-
 ულს,
 კსეკა მგრათ საზარელი ნაზი ალესით—
 და გულსაკლავი მწარე კვილი გაჰკეპოს სამყაროს:
 დაინგრენ სვეტნი, დაიქრც და და დედა-მიწა,
 გამეფდა ეგელან მძლავრი წყვილიაღი.

ი. ნაკაშიძე.



მესამოცე წლების მოღვაწენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. კრისტავის იუბილეს გამო.)

VI *)



გოგორც ზევით დავინახეთ, დღეს ქართველო-
 ბა კარ-ჩაკეტილ განთვითებულ მდგომარეო-
 ბაში აღარ იმყოფება. მის გარშემო, მის გვერ-
 დით, მასთან ერთათ მოქმედობს სხვა-და-სხვა ტო-
 მის ხალხი, ის შეერთებულია მისგლა-მოსვლით, ფოჩ-
 ტა-ტელეგრაფით დანარჩენ ქვეყანასთან. ეს მიღრე-
 კილება თან-და-თან ვითარდება და ძლიერდება. მას
 აერთებენ რკინის გზით სამხრეთთან, ჩრდილოეთთან,
 აღმოსავლეთთან და სხვ. ერთი სიტყვით საქართვე-
 ლო გადაიქცევა ისეთ კუნძულათ, რომლის ყველა
 ნაპირები ადელი მისადგომია. თუ კი ერთხელ კაე-
 კასია ხალხთა სავალი გზა ყოფილა, დღეს ის ხალხ-
 თა სამოქმედო სარბიელათ ხდება. რუსეთიდან, სპარ-

სეთიდან, სათათრეთიდან ჩვენ ქვეყანას მოაწოდებ-
 აუარებელი მუშა-ხალხი, ხოლო ევროპიდან კაპიტა-
 ლისტები. ამნაირი მიმდინარეობა დღესვე არის, ხო-
 ლო მისი გამძლავრება დამოკიდებულია მისგლა-მო-
 სვლის გაადვილების და წარმოების გაფართოებისა-
 გან. ჩვენ ამ ორივე გზაზე შევდევით. ცხოვრების
 ორივე მხარე ერთათ წინ მიდის. განვითარება შიგ-
 ნით და გარეთ წარმოების და აღებ-მიცემობის, გან-
 ვითარება შიგნით და გარეთ მიმოსვლის და ერთმა-
 ნეთთან დაახლოების—ასეთია ჩვენი გზა, ასეთია ის
 პირობები, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით და ემოძ-
 რავობთ. განა ამგვარ მდგომარეობაში ვიყავით ამ
 20—25 წლის წინათ? მართალია, ამის საძირკველი
 მაშინ ჩაიყარა, მარა მისი განმტკიცების და ზედ
 კედლების აშენების პირობები დაიბადენ შემდეგ,
 უკანასკნელ 10—15 წელში. მესამეცე წლებში შე-
 საძლებელი იყო ეროვნული მოძრაობა ქართული
 ენის დაცვაში გამოსულიყო, მაგრამ დღესაც აქ გა-
 ჩერება, ამ ერთ წერტილზე გაყინება განა არ ნიშ-
 ნავს უკან ჩამორჩენას, უაზრობას, უშინაარსობას?
 მეტყვით: ეგ დღესაც საჭიროა. სრული ჰემმარიტე-
 ბაა. ეს საჭირო იქნება მანამდის, სანამ მისი მომავ-
 ლინებელი არ მოგვშორდება. მაშ იმ დრომდე მხო-
 ლოთ ერთი-და იგივე ვიმეოროთ, ერთი-და იგივე
 ვიძახოთ? სად არის წინ-სვლა. აზროვნების შემუშა-
 ვება, ცხოვრების გარკვევა? განა აზრი, მწერლობა
 არ უნდა იყოს თანამედროვე სინამდვილის გამო-
 მხატველი? აქ და მხოლოთ აქ არ უნდა ეძებდეს
 წყაროს სიცოცხლისას და ძლიერებისას? ის, რასაც
 ყველა ჩვენგანი გულში გრძნობს და პირადათ ამ-
 ბობს ნახევარი საუკუნის წინ მოხდა. ამ დროს შე-
 მოინახა ის საერთო ფარგალი, რომელშიაც ვტრია-
 ლებთ. ეს ფარგალი იმდენათ საგრძნობია შიგნით
 მყოფთათვის, რამდენათ ესენი ერთმანეთს მოხედ-
 ბიან. მათი ინტერესი ერთმანეთს შეეჯახება. ხოლო
 ეს დამოკიდებულია ცხოვრების წარმატებაზე. მაშა-
 სადამე, აქ არის ორი საგანი: ერთი უძრავი, ერთ
 ალაგას გაჩერებული, მეორე მოძრავი და წინ მიმა-
 ვალი. თუ დღეს პირველი საგრძნობელია—ეს იმი-
 ტომ რომ მეორე (ე. ი. ჩვენვე) გაიზარდა, ვადიდ-
 და და გუშინდელ აკვანში ვეღარ ვტყევა. ამ ზრდის
 ერთი ხანა მესამოცე წლებია, მეორე კი დღევანდ-
 ელი ცხოვრებაა. ეს ორი ხანა ისე განირჩევა ერთმა-
 ნერთისაგან, როგორც შვიდი წლის ბავში თოთხ-
 მეტისაგან. მართალია, ბავში თოთხმეტის ვერ ვახდ-
 ბოდა ისე, რომ ჯერ შვიდის არ გამხდარიყო, მარა
 ვინ იტყვის ორივე ერთი-და იგივეა? 95 წელიწადი
 ვერ იქნებოდა ისე რომ ჯერ 60 წელიწადი არ ყოფი-
 ლიყო, მარა ვინ იტყვის ორივე ერთნაირია?

*) ის. „კვალი“, № 14.

იმდენათ, რამდენათ ზევით გავარკვეთ და ქვე-
ვითაც გავარკვეთ, დღევანდელი ხანა პირდაპირი
უარისყოფაა გავლალის ხანის. დღეს ქართველობას
გაცილებით მეტი რთული და სრლია ახალი სა-
ისტორიო კითხვა აქვს გადასაჭრელი. ერთი უკან ჩა-
მორჩენილი გადაეშვა ახალ მორევში, შეტოვა ახალ
ტალღებში, მარტო კი არა, სხვა უფრო მომზადე-
ბულ ერებთან ერთათ. მათი ნაფი მუდამ ერთმანეთს
ეჯახება. რანაირათ შეიძლება, სუსტი მენაფის ამ
ბრძოლაში გადარჩენა? საიდან უნდა მოიკრიფოს იმ-
დენი ძალა, რომ მან აღელვებული ზვირთები გადა-
ლახოს და მეორე ნაპირას მშვიდობით მიაღდეს? აი
აქ არის მთელი კითხვა. ჩვენი კულტურული წარმა-
ტება ამის ახსნას მოითხოვს.

როგორც არა ერთხელ მოვიხსენებთ, ის რამაც
ჩვენ წინ-წაგვიწია, ახალი მოქმედებისაკენ გავაქანა,
ყოფნის, თუ არ ყოფნის კითხვა დაგვისვა არის ეკო-
ნომიური ურთი-ერთობა. ამასთან მჭიდროთ შეკავ-
შირებულია ყველა დანარჩენი მხარეები: ლიტერატუ-
რული, იურიდიული, პოლიტიკური, ეროვნული და
სხვ. მაგრამ არის განვითარება და განვითარებაც.
განვითარება იქნება ისიც, რომ მთელი ქართველობის
ქონებას და გონებას ვილაც გადამივთელი დეპატრო-
ნოს და ისიც, როცა ქართველობა საქართველოში
ყოველ სარბიელზე ბატონობდეს. სად არის ის ძა-
ლა, რომელიც ჩვენ ამ მეორე გზისაკენ ხელს წაგე-
კრავს? საიდან მოგროვდება ის შეუღრკელი მხნეო-
ბა, რომელიც დაამარცხებს უცხო ტომთა მეტოქეო-
ბას და უმაღლეს საფეხურზე აგვიყვანს? უცხოეთი-
დან მოგვევლინება? სხვისი მიწის შვილი იქნება?
არა, ელექტრონის ძალა, რომელიც ჩვენ გარს შე-
მოგვეხვევა და უბრალო შენებისთანავე დამწველ ნა-
პერწყალს ვასცემს, ჩვენშივე უნდა მოგროვდეს, ჩვენ-
ვე უნდა შევიმუშაოთ და თავი მოვუყაროთ იმ სა-
ერთო აუზში, რომელსაც ეწოდება ქართველობა და
რომლის თითოეული მართული თითოეული ქართ-
ველია. ამ მორთულობის შემაერთებელი ძირი ცხოვ-
რებაა, ხოლო მათი ბოლო ეროვნება, ეროვნული
ძალაა. შეახეთ ხელი უკანასკნელს და მაშინვე ეს
გადაეცემა პირველს. შეახეთ ხელი პირველს და ერ-
თიანათ აბობოქრდება უკანასკნელი. პირველი და-
უშრეტელი შადრევანია, საიდანაც ჰაერში სცემს ან-
კარა წყალი. დააჭირეთ ხელი შადრევანს მაღლიდან
და უეჭველათ შეჩერდება წყლის მსვლელობა. მაგ-
რამ რამდენსამე ხანს შემდეგ შენით თუ არ მო-
შორდი, ის ახალი მოკრფელი ძალ-ღონით ჰაერში
გისერის. მოშალეთ თვითონ შადრევანი და ყოველი-
ვე გათავდა, აღარ არის წყლის სროლა, აღარც მი-
სი ძლიერება. და, აი, სწორეთ ამნაირი შადრევანია

ცხოვრება, სამოქმედო ასპარეზი და ამის განმტკიცებ-
ბა, გაგანიერება უმაღლესი ისტორიული დანიშნუ-
ლებაა. მხოლოთ აქ არის ის ნიადაგი, რომელზე-
დაც მაგრდება თვითოეული ერთი და შედის საკა-
ცობრიო ცხოვრებაში.

კიდევ ვიკითხოთ: რანაირათ უნდა მოგროვდეს
ჩვენ ერში ასეთი ძალა? რა დუღილს ემორჩილება
იგი? როგორ წარმოებს ეგ პროცესი?

ნ. ჟორდანიას.

(შემდეგ აქნება)

ბ ა შ ი — ა ჩ უ კ ი . *


ბოლოკაშვილმა კარგი ფეხი ვერ მოუტანა
სპარსელებს: გადავიდა თუ არა მათკენ, მა-
შინვე გაჩნდნენ კახეთში სხვა-და-სხვა გუნდები
გავარდნილთა და მოსვენებას აღარ აძლევდნენ თათ-
რებს. სადაც კი შეიგულეებდნენ და მოასწრებდნენ,
სულ მუსრს ადენდნენ, და ისე შეაშინეს რომ არა თუ
სოფლებში ვეღარ დაფარფაშობდნენ ადრინდულათ,
ციხე დარბაზშიაც კი შიშის ქარი უქროდათ. და თუ
არ სიფრთხილით, გალანის გარეთაც ვეღარ ბედავ-
დნენ ფეხის გადადგმას. შესანიშნავი უფრო ის იყო,
რომ მარტო თათრებს კი არა, ქართველებს უფრო
სდევნიდნენ, რალაი კი შეატყობდნენ რომ თათრების
მომხრე და იმათი ერთგულები არიანო. ბევრი გამო-
ჩენილი და თათრის სამსახურში დაწინაურებული გა-
მოათხოვეს წუთისოფელს, რამდენიმე თავად-აზნაუ-
რობის ოჯახი აიკლეს; საბუეში ერთი ღვედელი შეი-
პყრეს, როგორც ქვეყნის ორგულს, თვალეები დას-
თხარეს, ახლა მაინც ჩაიხედე გუნებაში და შეინანეო.
ჯანდიერს სახლკარი გადუწვეს. ამბობდნენ რომ ჩო-
ლოკაშვილსაც რამდენჯერმე დაესხნენ თავზე, მაგრამ
კაც მრავალმა ოჯახმა, როგორც იქნა, მოიგერაო.
იმათი წინააღმდეგობა და მოპირდაპარობა მით უფრო
საძნელო შეიქნა, რომ არავინ იცოდა, ვინ იყვენ, სად
იყვენ და საიდან როგორ მოდიოდნენ. ჩავარდა მთავ-
რობა საგონებელში: „ადგილის კურდღელს ადგი-
ლისვე მწვეარი თუ დაიჭერს, თუ არა უცხო ვერას
გახდებაო“, — ფიქრობდა ფეიქარ-ხანი და კახელებსვე
ენებუებოდა, რომ გამოდგომოდნენ იმ უკულმართებს
და მით ერთგულება გაეწიათ ყვენისათვის. გუნებაში,
ეგება, ბევრს უნდოდა, მაგრამ ცხადათ კი მათი ღვე-

*) ის. „კაბალი“ № 50. 1895 წლისა.

295
 ნა შიშით ვერაინ ვაბედა და ჩოლოყაშვილს მიანდო მთავრობამ, რომელსაც, როგორც თვითონ ამტკიცებდა, ცდა არ დაუკლია, მაგრამ მაინც ვერა გააწყობა! „გუნდები უფრო და უფრო გამრავლდნენ და გავარდნილები გათამამდნენ. გაჭირდა საქმე. ფეიქარ-ხანმა აღარ იცოდა, რა უნდა ექმნა, და უნდა ეცნობებოდა ყენისთვის, რომ ერთ დღეს არ გამოცხადებოდა სვიმონ მაყაშვილი და არ შეჰპირებოდა: „მე დავამშვიდებ ქვეყანასაო!.. ეს მაყაშვილი, როგორც გაიძვერა და გაუტანელი კაცი, ყველას სძულდა. თვირანში იყო გამოზდილი ყმაწვილობიდანვე და ერთ ღროს დიდი ადგილიც ეჭირა სასახლის კარზე, მაგრამ ცოტა რამეზე გადაუბრუნდა ფეხი და შერისხული გამოისტუმრეს თავის ქვეყნისკენ და მას შემდეგ უმნიშვნელოთ დაეხეტებოდა აქეთ იქით. დიდ-კაცობისა და მტარვალობის ნაჩვენებს მოსვენება აღარა ჰქონდა და სულ იმაზე ჰფიქრობდა, თუ როგორ დავიბრუნო ძველი ღრო და დიდებო. თარეშობის ღრომ ხელი მოუმართა მის მოუსვენარ სურვილს და ხელ-მეორეთ გამოიყვანა სარბიელზე: მთავრობამ მთავარ მეთვალყურეთ დანიშნა დიდების მაძიებელნი და უფლებამუსუსაზღვრელი მოხელეც მაშინვე შეუდგა საქმეს: შეატყობინებდნენ თუ არა მისი ხელ-ქვეითები, რომ ამა ზე ამ სოფელში თავზე დასხმიან ვისმე და ან ტყუილია გზით გაუვლიათ სადმე გავარდნილებსო, მაშინვე აიკლებდა იმ სოფელს და ააოხრებდა გაუკითხავათ. „ბატონო! ჩვენ რას გვერჩით? ძალაც თქვენ ხელშია და სამართალიცაო. ვინმე მოთარეშეთაგანმა ჩვენ სოფელში გაიაროს, ჩვენ რა ვიცით და რა ჩვენი გადასახადიაო?“ — ევედრებოდნენ სოფლელები, მაგრამ სადღა იყო გაკითხვა? მით უფრო, რომ მთავრობა უწონებდა მკაცრობას და აგულიანებდა მტარვალს. ამგვარმა მეცადინეობამ უნაყოფოთ არ ჩაიარა!.. მართალია, მოთარეშებები არა თუ არ გაუწყვეტია, თვალთაც არ უნახავს არავინ მათგანი მთავრობას, მაგრამ რამდენიმე თვეს განმავლობაში მართლა შესწყდა თარეშობა და გავარდნილების აღარა ისმოდა რა. ეს სამსახური იმდენათ მოუწონეს და დაუფასეს მაყაშვილს, რომ ყენმა გული მოიბრუნა და პირველი ხალათი უბოძა.

ყენის ტახტზე აბძანების დღეობას იხდიდნენ. ალვანის მინდორი მოქცედილი იყო ხალხით. ერთი

მხარე ბამბის კარგებით იყო მოფენილი. თქონს კარგად რაეში კახეთის მმართველი ფეიქარხანი იჯდა და გარს დიდებულები ჰყავდა შემოხვეული. მზე დიდი ხნის ამოსული იყო, ასე, ორ-სამ შუბის ტარზე თუ იქნებოდა აღმოსავლეთით წინ წამოწეული, რომ მოსაკრავებმა ქაბული დაუკრეს. ხანი გამოვიდა ამალით და მიმართა საჭიდაოს; ხალხმაც დაიგრიალა და ყოველის მხრით მოატყდა და შემოერტყა ირგვლივ წრეს. იმ ღროს ჰიდაობა დიდათ მიღებული იყო, როგორც თათრებში, ისე ქართველებშიაც. ფეიქარ-ხანი მოყვარული იყო ფალანგის და ხშირათ ესწრებოდა ხოლმე ჰიდაობაზე. განთქმული ფალანგები ერთმანეთს არა ზოგავდნენ გვარ ტომობის გაურჩევლათ, მაგრამ უფრო ხშირათ კი თათრები და ქართველები ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს. თუმცა თათრები ჩვეულებისამებრ ტიტვლები გამოდიოდნენ საჭიდაოთ, ტანზე ქონწამსულები, ასე რომ ხელი აღარსად ეკიდებოდათ და ქართველები კი საჭიდაო ჩოხით გადიოდნენ, მაგრამ მაინც ხშირათ გამარჯვება ამ უკანასკნელებს რჩებოდათ. წინა დღეს კოზმანიშვილმა ვალახა თათრების განთქმული მოჭიდავე, ბეჭი ამოუგლო და ამან ისე შეაწუნა თათრები და თვით ფეიქარსაც ისე დასწყვიტა გული, რომ აბღუშაილს უბძანა, გინდა თუ არა დაეჭიდო. ეს აბღუშაილი ერთი უთვისტომო ვინმე იყო, მაგრამ თავის ვაჟკაცობით პირველობა დაირჩინა არდალანში და ფეიქარ-ხანის ცხენოსან ჯარის მეუფროსობა იშოვნა. ჰიდაობა თუმცა აღარ ეკადრებოდა, როგორც დიდკაცს, მაგრამ ხანს ხათრი ევლარ გაუტეხა და შევიდა წრეში წელზევით ტიტველი. ერთი შეხედვით ჩასხმული უზარ-მაზარი შავი მარმარილოს ქანდაკი ეგონებოდა კაცს. შავი წვერები ტვერათ ეყრებოდა გულ-მკერდზე, დიდი უღვაშები აქეთ იქით ტოტებათ სცემდნენ სიგძისათ; დიდროვანი შავი თვალეები, სქელი წარბებით გადმოხურულ-დაჩრდილულები საოცრათ ბრიალებდნენ. დაუკრეს საჭიდაო. ატორტმანდა ფალანგი, ჯერ მალლა აღაპყრა ხელები, ზეცას შეხედა, თითქო გამარჯვება გამოსთხოვაო, მერე დაემხო დაბლა და მიწას სამჯერ აკოცა; წამოდგა ზეზე და კალოს შამოუარა; ცერებზე დგებოდა ყოველ ბიჯის გადადგმაზე და ძალზე ჰაერს ისუნთქავდა, თითქოს სცდილობდა, რომ გულ-ბოჭყი გაედიდებია, გაეებრა. ერთხელ რომ შემოუარა წრეს, ისევ თავის პირველ ადგილზე გაჩერდა, დაიჩოქა ცალ



მუხლზე და იქითკენ დაიწყო ყურება საიდანაც მოპირდაპირე უნდა შემოსულიყო. უყვივლეს მსურველებს, მაგრამ არაფერ გამოჩნდა. მეორეთ დაუარა კალოს, კიდევ არაფერა ჩანდა.

—სად არის გუშინდელი თქვენი გამარჯვებული კოზმანიშვილიო? —იკითხა ხანმა.

—უარზე დგას, ასე ამბობს, მე ფალაფანებს ვეჭიდავები და არა გოლიათებსაო. —მოახსენეს ქართველებმა.

—მაშ კარგი, სირცხვილი თქვენიო! ღიმილით სთქვა ხანმა და უბძანა მოჭიდავეს, მესამეთ კიდევ წრეში შენაფარდება და ისე გასვლა წრიდან.

მოჭიდავემ აასრულა ხანის ბძანება და მედიდურათ დააპირა წრიდან გასვლა. თათრებმა კმაყოფილების ნიშნათ წვერებზე მოისვეს ხელი და უღვაშებში ჩაიციინეს.

—ამდროს ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და მოისმა კიჟინა: დაუკარით, დაუკარითო! უცბათ შეჩერდა აბლუშაილი და იქეთ-იქით დაიწყო ყურება. წრეში ვეფხვიით შამოვარდა ერთი ვიღაც ტანწერილი, მალალი, მხარ-ბეჭიანი ზე თმა-გაჩეჩილი ახალგაზდა, შეხედა მოპირდაპირეს და შეჩერდა. თათარმა ტორტმანი დაიწყო და ხელების შლა; უცებ გაექანა შურდულივით ახალგაზდა, შეუვარდა ფეხებში, გამოჰკრა ორივე ხელი, ჯირკვიით გადაგორა ფალაფანი და გამოიჭრა წრიდან.

—არა, არა, ჯერი არ არის! მანგრე არ იქნებაო! —ყვიროდენ თათრის მომხრეები. გაბრუებული აბლუშაილი წამოდგა ზეზე და სთქვა: —მე ჯერ სალამი არ გამეთავებია და ის ღალატით მომეწარდაო.

ძალათი გამოათრის მეორეთ ახალგაზდა; ის გაჩერდა ერთ ადგილას და აღარ იძროდა.

—თათარო! სალამი რომ გაათაო, დამიძახე და მოვლო! —მიაყვირა ფალაფანს. იმანაც, ბრაზ-მოსულმა, კამეჩივით მიაშურა ახალგაზდას, მაგრამ ის განზე გაუხტა და თათარმა ხელები ჰაერს მოუპოტინა. რამდენჯერმე ჩაუქროლ-ჩამოუქროლა ახალგაზდამ გოლიათს, მაგრამ ატყუებდა, ხან აქეთ და ხან იქით განზე უხტებოდა, რომ ხელში არ ჩაეარდნოდა. მოთმინებიდან გამოსული თათარი წყველა კრულვით დასდევდა მოპირდაპირეს; შეუთრია დრო, როგორც იქნა, ახალგაზდამ, მოავლო ხელი მკლავში, წამოიკიდა ზურგზე, გადილო კისრულით და უშვა ხელე-

ბი. აბლუშაილი სიგძისათ გაიღლაშა გულ-აღმა დედამიწაზე... გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადაახტა და გავარდა წრიდან. ხალხმა კიჟინა დასცა.

—შიტან, შიტან! —დაიძახეს აქეთ იქით თათრებმა.

—ახლა გინდა შეიტანე და გინდა გამოიტანე ვე თქვენი რუმბივით გაგორებული ფალაფანი, სულ ერთიაო. —უპასუხებდენ მხიარულათ ქართველები.

დაცემული წამოაყენეს და წაიყვანეს გაბრუებული უფრო სირცხვილით, ვიდრე გალახულობით. მოიკითხეს გამარჯვებული, მაგრამ ვეღარსად ნახეს, მიიძალა ხალხში. ვეღარ გაიგეს, ვინ იყო. ფეიქარხანმა წარბები შეიჭმუნა და ზეზე წამოდგა, გაბრუნდა ისევ თავის კარვისაკენ. ხალხიც დაიძალა, წავიდწამოვიდა აქეთ-იქითკენ. იმ დღეს, მართალია, ხანი გუნებაზე ვერ იყო, მაგრამ მაინც მხიარულათ ჩაიარა საერო ღზინმა და შექცევამ. ნასაღილევს, ჩვეულებისამებრ, ცოტა წაიძინა დიდ-კაცობამ და მერე კი, რომ აგრილდა, გამართეს ჯირითი.

ცხენოსნები გაიყვენ ორათ და დადგენ გაღმა-გამოღმა მოედნის პირათ. ცხენებმა იგრძნეს, კუდები აიღეს, თავი მოიქანჩეს, ცმუტავდენ ერთსა და იმავე ადგილას, მარჯენივ და მარცხენივ ტრიალით. ზურნის ხმა რომ გაისმა, მაშინ კი შეკუნტრუშდენ და თუ მხედრებს თავი არ მოექანათ მათთვის, გამოიჭრებოდენ შუა მოედანზე. ახლა კი, თავ-შეკავებულები, ბერავდენ ცხვირის ნეშტოებს, ფრთქვინავდენ, კბილებს უჭერდენ ლაგამს, ყურებს აცქვეტდენ და თვალებს აბრიალებდენ. გამოახტუნა ერთმა მხედართავანმა თავის ყარაბაღული და მოხდენით მიაგლო მოპირ-და-პირე გუნდზე, გამოიწვია მოწინააღმდეგე და საოცარი სისწრაფით გამოატრიალა ცხენი. უკანამ ჯირითი შესტყორცა, მაგრამ წინამ ჯირითს ჯირითი აუკრა და გადაივლო თავზე. ახლა სხვები გამოვიდენ, ახლა კიდევ სხვები რიგ-რიგით, ასე რომ წესი არაფის დაურღვევია. შევნიერი სანახავი იყვენ მხედრები, როცა ისინი შენატყორც ჯირითის ასაცილებლათ ხან მარჯენით და ხან მარცხენით მანდიკურათ გადაეკიდებოდენ ცხენს და ზოგჯერ მუცელქვეშაც ამოველებოდენ ხოლმე. ბედაურებისათვის საჭირო აღარ იყო არც დეზი და არც მათრახი; იმათ თვითონ იცოდენ, რა-დროს რა გვარი მიხვრა-

257
მოხერა იყო საქრო. გამეტებით ჯირითის გაგდება დაშლილი იყო.

ზოგ მოჯირითეთაგანს ნება არ ქონდათ, მარჯვენა ხელში აეღოთ ჯირითი და მარცხენათი ათამაშებდნენ. აბლუშაჰილს სულ არ მიუღია იმ ჯირითში მონაწილეობა. გათავდა ჯირითიც, შეერთდა ორივე მხარე, მწკრივით დააყენეს ცხენები ყველამ ერთათ, ცოტა შეასვენეს და დაიქყველა თუ არა ზურნამ, მიანებეს თავი ცხენებს და ისინიც ქახენ-ქახენით გავარდნენ ჯეირანივით. ცხენოსნებს უნდა ის მინდობი სიგძისათ გადაეჭრათ, მისულოყვენ კადმდღე და მერე იქიდან სათითაოთ გამოეჭენებიათ ცხენი, რომ ყაბახი ჩამოეჯდოთ. იმდღეს ყაბახთ ოქროს თასი იყო დასმული თვალ აუწვდომელ ქადრის წვერზე; თითო ჯირითი ყველამ შესტყორცა, ზოგმა ახლოს მიიყვანა, ზოგმა ხეს გადაავლო თავზე, მაგრამ ვერც ერთმა კი ვერ შეანძრია ნიშანი. ბოლოს წამოვიდა ვიღაც შავ-ცხენოსანი, ისეთი სასწრაფით, რომ თითქმის აღარ ჩნდა ცხენზე, შორიდანვე შესტყორცა ჯირითა, ჰკრა შუაგულში და მალა შეაგდო. თასი ბზიალ-ბზიალით წამოვიდა; მხედარმა მიაგდო ცხენი ხის ძირში, შეაყენა უკანა ფეხებზე და ჰაერშივე მოავლო ხელი თასს, დაბლა აღარ დაუშვა; ჰკრა ქუსლი ცხენს და მიაჭენა იქ, სადაც ქართველი დიდებულები იდგნენ, ვითომ ზრდილობისამებრ დაპარა გადმოხტომა, მაგრამ გაგიყვებული ცხენი ხელს უშლიდა. მაშინ ცხენ-და ცხენ გაუშვირა თასი ერთ დიდებულთაგანს და დაიყვირა: „ღმერთმა ნუ მოუშალოს გამარჯვება ბატონ მაყაშვილსო“. სეიმონ მაყაშვილმა წინ რამდენიმე ბიჯი წამოდგა და ჩამოართვა თასი. ამ დროს უცბათ ჰაერში რალაცამ გაეღვია და მაყაშვილი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, რომ თავი მიწაზე კოტრიალდებდა. მხედარმა გამოატრიალა ცხენი და უკანვე გაჰქუსლა. შეკრთა დიდი და პატარა, ბოლოს დაიძახეს აქა-იქ: „ჰვი, ბაში აჩუკია, ბაში აჩუკია!“ გამოუყენეს მღვერებო, მაგრამ გვიანდა იყო. გარისხდა ფეიქარ-ხანი, გაწყრა მეთვალყურეებზე და ბაში აჩუკის თავიც ათას ოქროთ დააფასა.

აქაი.

(შემდეგი იქნება)

მეცნიერება გაკოტრდა, თუ მეტათეზიკა?

(ბიუნეტიქის დაცვის გამო ჩვენში)


III

(დასასრული *)



აეუბრუნდეთ მეცნიერებას. როგორც ვიცით, მეცნიერებ ს სამფლობელოს საზღვარი მეტრს აისწორით არის განსაზღვრული. აქ ვხედავთ ჩვენ ერთ შესანიშნავ მოვლენას: შედარებით ვიწრო თარგალი მეცნიერებისა თავ-და-პირველათ, თან და-თან ფაქთოვდება და იმწყვეტს თავის საზღვრებში ბევრს იმისთანა რამეებს, რის წარმოდგენაც პირველათ შეუძლებელი იყო. თუ თვალს გადავავლებთ აწინდელი მეცნიერებს თვითოეულ შტოს, ჩვენ ცხადათ დავინახავთ, რომ ეს წინადადება ყოველგან მართლდება. გაიცანათ, მაგალ, თუ რა იყო წინეთ ასტრონომია, გეოლოგია, ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიოლოგია და სხვ., გაიცანით თუ რა არიან იგინი ჩვენ დროში და მაშინ დაინახავთ, თუ რა იმედებს იძლეოდნენ იგინი წასულში და თუ რამდენით გადააჭარბეს ამ იმედებს, და გაგვაგებიეს იმისთანა რამეები, რაც არც დასიზმებიან ძველ მეცნიერთ. ავიღოთ მარტო ქიმია, როგორ გაფართოვდა ის ამ ერთი საუკუნის განმავლობაში? განა იმ ქიმიურ ანალიზზე და სინტეზზე, რომელიც ჩვენ დროში შესაძლებელია, რამე ნაირი წარმოდგენა ჰქონდათ თვით აწინდელი ქიმიის მამათ-მთავართ: კეველიშს, ლავუზიეს, გელიუსსაკს, ავონგარდოს და სხვ.? იგივე ითქმის სამკურნალო მეცნიერებაზეც, სადაც ბაკტერიოლოგიის დაარსებამ თითქმის სულ მთლათ შეცვალა წინანდელი წარმოდგენა სნეულებაზე. ერთი სიტყვით, მეცნიერებამ ყველა თავის შტოებში ვამართლა არა მარტო ის იმედები, რომლებიც თავის დასაწყისში აღგვითქვა, არამედ უფრო ბევრი კიდევ იმისთანაები, რომლებზედაც მაშინ თიქრიც შეუძლებელი იყო. ათასში ერთი მაგალითი მოვიგონოთ კიდევ, ყველაზე უფრო შესანიშნავი: ჩვენ ვამბობთ ელექტრონზე. რა იყო ის გალვანის დროს, ამ ერთი საუკუნის წინეთ, რა იმედებს გვაძლევდა ის მა-

*) ის. კვადი № 14.



შინ და რა შეგვისრულა? სხვას რომ თავი დავანებოთ, ტელეგრაფზე, ელექტრონულ სინათლეზე, ედისონის ტელეფონზე და ფონოგრაფზე განა შეეძლო ამ ერთი საუკუნის წინეთ ვისმეს ფაქტი? რალა უნდა ეთქვათ ჩვენ აქ რენტგენის (Röntgen) სხივებზე, ¹⁾ რომელთა შედეგების გათვალისწინება ჩვენ ჯერ არც კი შეგვიძლია, მაგრამ რომელთა ცხოვრებაში გამოყენება ღრმად შეცვლის ჩვენ აწინდელ ყოფა-ცხოვრებას.

საჭიროა აქვე ვიცოდეთ, რომ მეცნიერების ამნაირი განვითარება ბუნებრივი მოვლენაა, რომ აქ შემთხვევით არაფერი არ ხდება: აქ ერთი რომელიმე შეძენა ანუ აღმოჩენა ამზადებს მეორესთვის ნიადაგს, და მთელი მეცნიერება წარმოადგენს ამგვარ შეძენათა და აღმოჩენათა გადაჯაჭვებას. ამიტომ მეცნიერებას აქვს თავისი წინასწარმეტყველებაც, თუ ასე შეიძლება ეთქვათ. ასტრონომიური მეცნიერება ბევრმაგალითს გვაძლევს, როცა წმინდა მათემატიკური ანალიზის მეოხებით დაუმტკიცებიათ, რომ ამა და ამ მხარეს, ამა და ამ სიშორეზე და ამაღ ამ მნათობთა შორის, უნდა არსებობდეს ესა და ეს პლანეტი; ამასთანავე გამოუანგარიშებიათ მისი სიმძიმე, მისი ბრუნვის დრო და სხვ., და შემდეგში, რომელსამე ასტრონომს, ტელესკოპის საშუალებით, სწორეთ აღმოუჩენია ეს პლანეტი უკვე ფაქტიურათ. გავიხსენოთ აქვე ისიც, რომ ცნობილი პროფ. მენდელეევის პერიოდულ სისტემამ წინდაწინვე აგვიწერა სისწორით ფიზიკური და ქიმიური თვისებანი იმ ელემენტებთა, რომლებიც შემდეგში სხვა ქიმიკოსებმა აღმოაჩინეს. ჩვენ აქ არც ადგილი, და არც დრო ნებას არ გვაძლევს შორს გავყვეთ ამ საგანს, რომელიც ძლიერ საგულისხმო და მომასწავებელია; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მკითხველი ნათქვამიდანაც დაინახავდა, რომელმა უფრო ვაგვიმართლა ჩვენ იმედები, მეცნიერებამ თუ მეტაფიზიკამ.

დაუბრუნდეთ აწინისვე ბრიუნტიერს. იგი გვეუბნება გადაჭრით, რომ მეცნიერებამ ვერ გვიგო პასუხი და ვერც გვიგებს მომავალში შემდეგ დაწყველილ კითხვაზედო: რა ვიჟაით და რა ვიქნებით? ჩვენ სრულებით არ გვიკვირს, რომ, ვისაც ძვალსა

და რბილში გამჯდარი აქვს მეტაფიზიკური მიდრეკილებანი, ის არასოდეს არ დაკმაყოფილდება იმით, რასაც გვაძლევს ამ კითხვაზე თანამედროვე ბუნებისმეტყველება. ზოოლოგია გვეუბნება, რომ ის ორფეხი ცხოველი, რომელსაც ადამიანს ვეძახით, ერთი თვალის დახამხამების ნაყოფი არ არის; გეოლოგიის და პალეონტოლოგიის დახმარებით მტკიცდება ის შეხედულება, რომ აუარებელ დროს უნდა განეელო, მინემდის წარმოდგებოდა ადამიანთა praecursor-ი (წინამორბედი); თვით ამ წინამორბედის ადამიანთ გარდაქმნასაც დიდი ხანი დაჭირდებოდა, ასე რომ ადამიანის ნამდვილ ნაშთს პალეონტოლოგები ნახულობენ მხოლოდ მესამე გეოლოგიურ ეპოქის უკანასკნელ ნაკვეთში. რასაკვირველია, გადაჭრით ჯერ აქ არა ითქმება-რა, მხოლოდ ის კია ნამდვილი, რომ მეცნიერების მიერ დღემდის აღმოჩენილი ფაქტები ამტკიცებენ იმ მოძღვრებას, რომელიც ჩვენ დროში დაწინაურების სახელით არის მიღებული. მეორე მხრით, მოჭფოლოგია და ემბრიოლოგია, ეს ახალი შტონი თანამედროვე მეცნიერებისა, რომელთა მეოხებით ჩვენ შეგვიძლია მთელი და გრძელი წარსული განვითარება ორგანიზმებისა ჩვენ თვალწინ დაეხატოთ და ცალკე ორგანიზმზე შევისწავლოთ, შეურყეველ დასამტკიცებელ საბუთებს იძლევიან იმის დასამტკიცებლათ, რომ მაღალი ორგანიზაციის ცხოველნი წარმოდგენ მდებალ ორგანიზაციის ცხოველთა თანდათან განვითარებისაგან.

მაგრამ თუ ნათლათ ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული ჩვენი ცოდნა ჩვენ წინაპართა ზოოლოგიურ ხანაზე, ეს ასე უკვე აღარ ითქმის მას შემდეგ, რაც ჩვენ წინაპრებმა იწყეს შეჯგუფება, ე. ი. მას შემდეგ, რაც მათ იწყეს ცხოვრება პატარ-პატარა საზოგადოებებთ: ნათესავებათ, თემებათ და სხვ. თუმცა-ლა ბრიუნტიერი ჩვენ გვეუბნება, რომ მეცნიერებას შეუძლია აგვიხსნას ჩვენი ბუნების მარტო პირუტყვეული მხარე (რაც, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება წინანდელ მის აზრს), მაგრამ მისთვის „მიუწლომელია“, თუ საიდან გაჩნდა ენა, საზოგადოება, ზნეობა? და ვინც კი სცადა ამ საუკუნეში ამ კითხვების გადაწყვეტა, ყველა სასტიკათ დამარცხდაო; თუმცა ამნაირათ სჯის ბრიუნტიერი, მაგრამ აქაც სასტიკათ ცდება. თანამედროვე მოძღვრება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უკვე იმ წერტილამდის მი-

1) ის. ამ წლის „კვადი“, № 9, სტ.: „რენტგენის სხივები“.

ახწია, რომ ყველა ამ კითხვებზე ჩვენ შეგვიძლია დასაკმაყოფილებელი პასუხი მივცეთ. მაგრამ რადგანაც ამ საინტერესო საგანზე ჩვენ მეორე წერილი გვექნება დასტამბული, ამიტომ შესაძლებელათ ეხდით შეგწყვიტოთ აქ ამის შესახებ საუბარი; მხოლოდ საჭიროთ ვთვლით შეეჩერდეთ ცოტათი აქვე შემდეგ გარემოებაზე.

ყველასათვის ცხადია ის მოვლენა, რომ თანამედროვე მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის ერთნაირი განხეთქილება სუფევს; განემარტოთ ეს მაგალითით. ჰიგიენამ, მაგ., სისწორით განსაზღვრა ის პირობები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ადამიანის სიმთელისათვის. მაგრამ რა? საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენ დროშიაც ისე არის მოწყობილი, რომ რაც შეიძლება, სულ უფრო და უფრო ითვლებოდეს და უარიყოფებოდეს მეცნიერების-მიერ დადგენილი პირობები სიმთელის შესახებ. ამნაირი განხეთქილება იმდენათ უფრო და უფრო აშკარავდება ჩვენ დროში, რამდენათაც ვითარდება თვით მეცნიერება, ერთი მხრით, და მეორე მხრით, რამდენათ მწვავედებიან საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამიტომაც ბრიუნეტიერი უკეჩინებს მეცნიერებას, რომ შენ „კაცის ცხოვრება არ გაგიუმჯობესებიაო“. უმეტესობა სწორეთ ამაში ხედავს თანამედროვე მეცნიერების სისუსტეს და უძლურებას. გერწამს, რომ დღევანდელი ცხოვრება ძლიერ საძაგლათ არის მოწყობილი, უმეტესობა აქ ძალა-უნებურათ იჩაგრება, შემადრწუნებელ გარემოებაშია ჩაყენებული და სხვა-და-სხვა. მაგრამ ვინ არის აქ დამნაშავე? მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როცა ქარხნებში ახალი შემოდებული იყო ორთქლის მანქანები, რის გამო უფრო ნაკლები რიცხვი მუშებისა ჰირდებოდათ მექარხნებს, მუშები თავის მტკათ თჯიადენ მანქანებს და ამის წინააღმდეგ იბრძოდენ. ნუ თუ ჩვენც ამისათვის მანქანები უნდა ჩავთვალოთ მუშების მტრათ და არა ის საზოგადოებრივი პირობები, რომელთა წყალობით ამნაირი განწყობილება ჩამოვარდნილი მუშებსა და მანქანებს შორის? Sapiienti sat.

მეორე მხრით, ვიცით, რომ დღევანდელი ცხოვრება სწორეთ მოუწყობელია, არეულ-დარეული, და თუმცა-ღა ჩვენ არაოდეს არ ვეკუთვნოდით და არც ვეკუთვნით იმ პირთ, რომლებიც გაიძახიან: „tout

est mieux dans ce meilleur des mondes possibles“, მაგრამ როდის იყო ის უმჯობესათ მოწყობილი? როცა ბრიუნეტიერი ცხოვრების მოუწყობლობაზე ლაპარაკობს, მას აქვს სახეში, რასაკვირველია, მუშა ხალხი. მაგრამ თანამედროვე მუშა ხალხს აქვს გრძელი ისტორია, რომლის ორ უმთავრეს საფეხურს შეადგენენ ძველი მონაბა და საშუალ საუკუნოების ბატონ-ყმობა. როგორიც უნდა იყოს აწინდელი ჰრეაქტატიის მდგომარეობა ევროპაში და ამერიკაში, ის არასოდეს არ გაცვლის თავის აწინდელ მდგომარეობას რომელსამე წინანდელზე; არ გაცვლის იმიტომ, რომ თანამედროვე პროლეტარიატი, როგორც საზოგადოებრივი კლასი, დგას გაცილებით მაღლა მხეებზე და საშუალ საუკუნოების უმეპზე. აქ არ არის ადგილი ვილაპარაკო იმაზე, თუ რა საზოგადოებრივი ასპარეზი მოქმედებისა დაულოცა პროლეტარიატს ისტორიულმა ევოლიუციამ. შეენიშნავთ მხოლოდ, რომ თუ პროლეტარიატს ჯერ კიდევ სავსებით არ აქვს შეგნებული და გათვალისწინებული თავისი ისტორიული მნიშვნელობა, თანამედროვე მატერიალური პირობები, რომლებშიაც ის ვარდება ნებსით თუ უნებლიეთ, სულ უფრო და უფრო ამზადებენ და ხელს უწყობენ მას ამ საქმეში.

ასეა თუ ისე, როცა ბრიუნეტიერმა მეცნიერების გაკორტება აღიარა, აქედან პირდაპირ ის დასკვნა გამოდიოდა, რომ არც მეცნიერებას საზოგადოთ, და არც ერთს მის შტოს აღარ აქვს ნება მოითხოვოს უპირატესობა ჩვენი ცხოვრების მართვა-განგებაში, რომ ეს ალაგი მეცნიერებამ სარწმუნოებას უნდა დაუთმოსო (იხ. „ივერია“ № 42). თავის დროზე ჩვენ ვეცდებით, შეძლების და-გვარათ, ფარდა ავხალოთ ყოველგვარ ბურჟუსით მოცულ საგნებს და ვუჩვენოთ მათი რეალური საფუძველი, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდენ იგინი და შემდეგში როგორ განდენ თითქმის დამოუკიდებელი ამ ნიადიგიდან, გარეგნობით მაინც. რაც შეეხება იმას, რომ ბრიუნეტიერი ზურგს უბრუნებს მეცნიერებას და მის ალაგს სარწმუნოებას ულოცავს საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა-განგებაში, ეს ჩვენთვის სრულებით არ არის გასაკვირალი, რადგან ბრიუნეტიერი გაუსწორებელი მეტაფიზიკია, რომლისათვისაც საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობანი გაუგებარია და ბურჟუსით მოცული; არც ის გვიკვირს, რომ ბრიუნეტიერი რო-

300



მის პაპში, ლეონ XIII-ში, ათაგებს თავის მეტაფიზიკურ მოგზაურობას. ამისთანა ხალხზე ჩვენში იტყვიან: წინ ზღვა, უკან მეწყერიო... მაგრამ სასაცილო ის არის, როცა ბრიუნეტური სჯის კათოლიციზმის და ლეონ XIII-ის მსოფლიო მნიშვნელობაზე; სასაცილოა ეს მით უფრო, რომ ბ. კიტას, ყოველთვის ბრიუნეტურის ერთგულ მოსარჩლეს, არ მოწონს კათოლიციზმი. კათოლიციზმის მსოფლიო მნიშვნელობა! დიან, ჰქონდა ერთს დროს კათოლიციზმს ამნაირი მნიშვნელობა, მაგრამ რა მხრით, ეს სულ სხვა კითხვას შეადგენს, და ამის განსენება სწორეთ ჟრუანტელს მოგვრის კაცს ტანში. ეს დრო წავიდა სამუდამოთ: კათოლიციზმი წასულთან შედარებით თითქმის დაივიწყა კაცობრიობამ, რადგანც მან თავისი ძალა უკვე დაკარგა. კათოლიციზმის ხმის ამოღება ჩვენ დროში, თუ მას იეზუიტურ კანს ავატლით, უსუსური ბაგვის ტიტინს მოგვაგონებს; მოდი და ნუ გაგვიცინება, როცა ეს ბაგვი დარიგებას და სხვა-და-სხვა იმედებსაც გვაძლევს...

ამნაირათ ზემო-ნათქვამიდან ჯერ-ჯერობით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

შიჩქვლათ. ბრიუნეტურის ევოლიუციონურ მეტაფიზიკას არაფერი საერთო არა აქვს თანამედროვე ევოლიუციონურ მოძღვრებასთან; და მეორეთ. ის ათასგვარი ბრალი, რომელსაც ბრიუნეტური მეცნიერებას სდებდა, ყოველნაირ მნიშვნელობას მოკლებულია. მეცნიერებამ შეგვისრულა არა მარტო ის დაპირებანი, რომლებსაც თავის დასაწყისში იძლეოდა, არამედ უფრო მეტი იმისთანაები, რომლებზედაც მაშინ ფიქრი შეუძლებელი იყო. სულ ამის წინააღმდეგ ვხედავთ მეტაფიზიკაში: ამ უკანასკნელს არასოდეს არ შეუსრულებია ის, რასაც დიდის კვებით გვპირდებოდა. მაშასადამე, ცხადია მისი გაკოტრება და მეცნიერების ვამარჯვება.

დასასრულ, ორიოდ სიტყვი თვით ბ. კიტაზე. ერთობ სასიხარულოთ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენი თანამემამულე სარწმუნოების საქმეში უფრო წაღიჯა, ვინემ გამოჩენილი საფრანგეთის კრიტიკოსი და ფილოსოფოსი, ბრიუნეტური. როგორც ვიცით, ამ უკანასკნელმა კათოლიციზმში დასარულა თავისი მეტაფიზიკური მოგზაურობა. ხოლო ბ. კიტა მეტაფიზიკური მოგზაურობის ამნაირ ბოლოს თაკილობს, რომ ეს არ შეშვენის და არ მიეტყვება იმნაირ შესანიშნავ მწერალს, როგორც ბრიუნეტური არისო. ბ. კიტა იმ აზრის არის, რომ ეს მოგზაურობა კიდევ უნდა გაეგრძელება ბრიუნეტურს და გაეთავებია სადღაც სულ მაღლა წვეროზე, სადაც აქვთ დასაწყისი ყველა სარწმუნოებათა. ბ. კიტა სჯის *l'ala philosophe—méta-*

que უფრო ღრმათ, ვინემ ბრიუნეტური, და თავის მსჯელობაში ცდილობს დაემყაროს გამოჩენილი გლისელი ფილოსოფოსის, გერ. სპენსერის აზრს. ამ უკანასკნელს თავის First Principles-ში ის აზრი გაყავს, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთს და იმავე საგანს იკვლევენ, რომელსაც „გამოუცნობელი“ ჰქვია, მხოლოთ სხვა-და-სხვა გზით: სარწმუნოება რწმენით, მეცნიერება კი გამოკვლევით. სარწმუნოება, რასაკვირველია, ჩვენ ვერაფერს გვიშველის ამ შემთხვევაში, რადგანაც აქ ყოველივე ჩვენივე რწმენაზეა დამყარებული. ისევე უნდა მივეშუროთ მეცნიერებას, მაგრამ ამ უკანასკნელის სამფლობელოში არ იმყოფება მეტაფიზიკური ქვეყანა; მეცნიერებას იმისთანა საგნებთან აქვს საქმე, რომლებს, ასე ვთქვათ, ცოტათ თუ ბევრათ ხელში მოგდება შეუძლია. ამიტომ, რადგანაც მეტაფიზიკური სამფლობელო გამოუცნობელი რჩება, ჩველივე რწმენას აბსტრაქტიულათ კიდევ ექნება ალაკი ადამიანის გონებაშიო—ამბობს სპენსერი. მაგრამ სპენსერის რელიგიურ რწმენას არაფერი საერთო არა აქვს სხვა-და-სხვა არსებულ სარწმუნოებათა ფორმებთან. პირიქით, სპენსერის რელიგიური რწმენის რომელიმე სარწმუნოებრივი ფორმით გამოხატვა ყოველათ შეუძლებელია, ეს რწმენა დამოკიდებულია მხოლოთ თვითოველი ადამიანის კერძო შეხედულობიდან. აქ არავითარ რელიგიურ ფორმულას ალაკი არა აქვს. ბ. კიტას კი ჰგონია, რომ შეიძლება საყოველთაო სარწმუნოების დადგენა კონგრესების საშუალებით. ხოლო ამნაირი დადგინება, სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ყოველნაირი სარწმუნოებვი პრინციპის წინააღმდეგია. მაგრამ ამგვარ დადგინებას ბ. კიტა აძლევს დიდ მნიშვნელობას, რადგანაც, მისი მსჯელობით, მხოლოთ ამნაირათ დადგენილ სარწმუნოებას შეეძლება, რომ დაიჭიროს ის ვაკანსია, რომელიც განთავისუფლებულია მას შემდეგ, რაც მეცნიერებამ უარი განაცხადა გამოუცნობელის გამოცნობაზე. კარგია ხოლმე ვაკანსიის დაჭერა, მეტადრე რკინის გზის სამართველოში, ან რომელსამე სხვა ბიუროკრატიულ დაწესებულებაში, მაგრამ „გამოუცნობელის“ ვაკანსიის დაჭერა ჩვენ ძლიერ საძნელოთ მიგვაჩნია, თუ სულ საეჭვოთ არა.

ერთი შენიშვნა კიდევ. ბ. კიტა ბრიუნეტურის დაცვაში იქამდის მივიდა, რომ სპენსერსაც შეაღარა ეს უკაბასკნელი. სპენსერმაც დიდი ხანია აღიარაო, რომ სარწმუნოებას, სანამ მიუწოდომელი დარჩება, ყოველთვის ექნება მნიშვნელობაო, მაგრამ სპენსერისთვის მეცნიერების მტრობა არავის დაუწამებია, და ბრიუნეტურს კი დაწამესო. ვანა ამაზე მეტი კადნიერება შეიძლება? კაცმა მეცნიერება

301

უკუაგდო და კლერიკალიზმის მანტიაში გაეხვია, და მასზე ცუდს ლაპარაკს როგორ ზედავენო. სპენსერის მაგალითსაც აქ სრულებით არ აქვს იდგილი: მთელ მის სამეცნიერო მოღვაწეობას რომ თავი დაეინებოთ, ერთათ ერთი მისი „Settlings of church“-ი (საეკლესიო დაწესებულებანი) ამტკიცებენ, რომ სპენსერსა და ბრიჩნეტიერს შორის უფსკრული ძევს. სანამ ერთ მწერალს მეორეს შევადარებდეთ, საქიროა, ცოტათი არის, მაინც გავიცნოთ იგინი.

ფ. მასჩაძე.

მომიყვანა, რადგან დიდი ხანია ამითი ვიტანჯებოდა, რომ არ შემძლიან გულითადი მადლობა არ უძღვნა ამ დაწერისათვის და ამითი ვამტკიცებ ჩემს მადლობას, რომ მაჩხანელის სურდოს სასწაოვრათ ვადგენ ფონდს. და შემომიწირამს ხუთი მანათი კ. ნ. ე—სოფ. დ.

ჭადჭად-გამომტკიცესი ან. თ.-წერკოლისა.

გამოვიდა და ისყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში

„ქართული გოტიკური ანბანი“

გამოტყუელი ს. ტაჭუაშვილის მიერ.

ფასი ერთი შაური.

(3—1)

სახუმარო გასართობი.

უფალო კვალის რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს აზრს მისცეთ ალაგი თქვენს პატივცემულს ჟურნალში. ოღლა ბეჟანიშვილის ქალის ნაწერმა შესანებ მაჩხანელის სურდოს წამლობისა ისე აღტაცებაში

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1896 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა, ამ განზრახვით ან დაიბარა ახლაც პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნიით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნიით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნიით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, ВОЗЛЪ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის, ვ. ბეჟანიშვილის, ძმათ წერეთლების, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პაველიონში გერ. კალანდაძესთან.—ფოთში: მიხეილ თურქიას.—მისაილაგაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას.—თიანეთში: ივ. ჩიბალაშვილს.—გორში: არსენ კალანდაძეს—ჭავჭავაძეში: თედორე კიკვაძეს; ყუბინილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში—ასფსენაგში ღ. მჭურჭეთში: კ. თავართქილაძეს.—სახსეჭში: ყარამ. ჩხეიძეს.—თელავში: მიხეილ ცისკარაშვილს.

1896 წლის ხელის მომწერლებს „კვალისას“ დაურიდებათ პრემიათ ახალი რომანი

გიორგი წერეთლისა, სასეკლათ

რომანი შედგება სამი ნაწილისაგან.

„გულქან“